სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 31 მაისი 2001 №99 (1372) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესლა გვაკლდა! შოთა არველაძე დააპატიმრეს

„აიაქსში“ ასეთი რამ ადრეც მომხდარა — გადასახადების დამალვისთვის 10 წლის წინ კლუბის პრეზიდენტი და კომერციული დირექტორი დააპატიმრეს.

„აიაქსს“ ახლაც ასეთივე ბრალდება წაუყენეს და რაც ჩვენთვის ყველაზე საინტერესოა, უკანონო ფინანსურ ოპერაციებში კლუბის ქართველი თავდამსხმელი შოთა არველაძეცაა ეჭვმიტანილი. მეტიც, შოთა არველაძე დაპატიმრებულია — ეს ცნობა „აიაქსის“ პრესმდივანმა ერიკ ვან ლეუვენმა გაავრცელა. გამოძიება არჩილ არველაძითაცაა დაინტერესებული.

გადრი კეთილაძის ფოტო

კახა კალაძის ძმის თაობაზე ახალი არაფერია, შოთა არველაძე ამსტერდამის პოლიციამ დაიტოვა, გუშინ არჩილ არველაძეც დააკლდა სანაპრებო წვრთნას, ზაზა ჯანაშია სიომინმა საფრანგეთში წაიყვანა, გოჩა ჯამარაული ნაპრებში თამაშზე უარს ამბობს, გიორგი ქინქლაძე ვერ ითამაშებს...

საქართველოს ეროვნული ნაკრები იტალიასთან შესახვედრად ემზადება

იხილეთ მეორე-მესამე გვერდები

დასაწყისი პირველ გვერდზე

ესღა გვაკლდა!

კვირას „აიაქსმა“ „ამსტერდამ არენაზე“ 5:1 მოუგო „ალკმარს“ და ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვა. ამან კლუბის აქციების ფასი რვა პროცენტით გაზარდა. ორშაბათს კი კლუბის ოფისს საგადასახადო ინსპექტორები მიადგნენ. მათ მიქაელ ლაუდრუპთან და შოთა არველაძესთან დაკავშირებული ფინანსური დოკუმენტები აინტერესებდათ. გავიხსენოთ, რომ ორივენი „აიაქსში“ 1997 წელს გადავიდნენ.

„ჩვენთვის ეს სრულად მოულოდნელი ვიზიტი იყო — ამბობს კლუბის პრესმდივანი — საგადასახადო ინსპექცია ყოველი სეზონის შემდეგ გვამოწმებს და, შესაბამისად, ლაუდრუპისა და არველაძის ტრანსფერებით 1998 წელს დაინტერესდნენ. მაშინ მათ რამდენიმე კითხვა დაგვისვეს და ჩვენმა პასუხებმა სავსებით დააკმაყოფილათ, არანაირი პრობლემა არ ყოფილა. ამიტომ ორშაბათს მათმა მოსვლამ და ძველი საქმეებით დაინტერესებამ გაგვაოცა“.

საგადასახადო ინსპექცია „აიაქსს“ ბიუჯეტისთვის ორი მილიონი დოლარის დამალვაში ადანაშაულებს და გამოძიება კლუბის საქმიანობის 1997-დან 2000 წლამდე პერიოდს მოიცავს. დაუზუსტებელი ინფორმაციით, ბრალდება ეხება ლაუდრუპთან და არველაძეში გადახდილ არარეგისტრირებულ სატრანსფერო ღირებულებას და არა „შავ“ ხელფასებს.

ამჟამად ეჭვმიტანილია ხუთი პიროვნება და, როგორც თავში აღვნიშნეთ, კლუბის პრესმდივნის თქმით, ხუთივე, მათ შორის შოთა არველაძე დაკავებულია. ჰოლანდიური კანონებით, სამართალდამცავებს ოფიციალური ბრალდების წაყენებამდე ეჭვმიტანილთა სამი დღით დაკავების უფლება აქვთ.

„აიაქსის“ გარდა საგადასახადო ინსპექცია „ბრედას“ ფინანსური საქმიანობითაც დაინტერესდა და იქაც გამოძიების ინტერესი 1997 წელს შემდგარი ტრანსფერებია. იუწყებიან, რომ სხვა ფინანსურ ოპერაციებთან ერთად სამართალდამცავები არჩილ არველაძის ტრანსფერითაც არიან დაინტერესებულნი.



„აიაქსს“ და შოთა არველაძეს საქმეები აერიათ

ყოველივე ზემოთქმულის კომენტარი ვთხოვეთ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ მერაბ ჭორდანიას.

— შოთა არველაძესთან პირადად არ მისაუბრია, თუმც კარგად ვიცი, რა პრობლემაც აქვს. ასეთი რამ, შეიძლება ითქვას, ჩვეულებრივი ამბავია. საგადასახადო ინსპექცია კლუბებს ხშირად ამოწმებს და რაიმე დარღვევა თუ არის, პასუხიც „აიაქსს“ მოეთხოვება. არველაძე ამ საქმეში უბრალოა. შოთასა და ლაუდრუპის გარდა, რამდენადაც ვიცი, საგადასახადო ინსპექციამ სხვა ფეხბურთელებიც დაკითხა.

შოთა არველაძის დაპატიმრება კი მართალი არ უნდა იყოს. მგონია, რომ ჰოლანდიური პრესა ფაქტს აზვიადებს. ის დასაკითხად გამოიძახეს. მე დღეს ვესაუბრე საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარეს, ირაკლი მეძმარიაშვილს, რომელმაც მითხრა, რომ ბენილუქსში საქართველოს ელჩ კონსტანტინე ზალდასტანიშვილს დაუკავშირდა და მისგან გაიგო, შოთა არველაძე ხვალ თბილისში გამოემგზავრება და ნაკრებშიც ითამაშებს. ჩვენ კი, ფეხბურთის ფედერაციამ, ის ამბავი, რომ ფეხბურთელი შეკრებაზე ჩამოსვლას ორი დღით აგვიანებს, ფიფასაც ვაცნობეთ და ჩვენს ჰოლანდიელ კოლეგებსაც.

ერთი სიტყვით, ხვალ შოთა არველაძე თბილისში იქნება.

ჰოლანდია

პლეი ოფი

B ჯგუფი. I ტური

სპარტა 3:1 იგლისი

2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. VIII ჯგუფი. 2 ივნისი

საქართველო — იტალია

თბილისი. „ეროვნული“. 21.00

ჯამარაული თუ ქინქლაძე მარტივად გადაიჭრა: აღარც ერთი, აღარც მეორე

გუშინ ცხრის ნახევარზე მიაკითხა „ეროვნულს“ საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა. ვარჯიშს ორასამდე გულშემატკივარი დაესწრო, ძირითადად ლეგიონერების ავტოგრაფებზე მონადირე ყმაწვილობა. აქვე იყო სფფ-ის თავკაცობაც — მერაბ ჭორდანია, ალექსანდრე ჩივაძე, ვალერი ჩოლარია. ცხადია, ჟურნალისტთა ამქარიც. ერთი სიტყვით, ყურადღება და აჟიოტაჟი ნაკრებს არ აკლია, ისევე როგორც პრობლემები.

გაირკვა, რომ გიორგი ქინქლაძე იტალიის წინაალმდეგ ვერ ითამაშებს. ოთხი დღის შემდეგ უნგრელებთან მატჩისთვის კი, შესაძლოა, მომჯობინდეს.

გუშინდელ ვარჯიშზე არ იყო არჩილ არველაძე — იგი გაციებულია და სასტუმროდან გუნდს „ეროვნულზე“ არ გაჰყოლია.

ალექსანდრე რეხვიაშვილმა კი გუშინაც მსუბუქად ინდივიდუალურად ივარჯიშა. მისი შესიებული მუხლისთვის მეტი არ შეიძლება. ნაკრების ექიმს დიმა ზაალიშვილს იმედი აქვს, რომ 2 ივნისისთვის რეხვიაშვილი მზად იქნება სათამაშოდ.

ვარჯიში ტრადიციული მოთელვით დაიწყო, შემდეგ კვადრატებისა ორმხრივი თამაშის ჯერიც დადგა. დავით ყიფიანი კვლავ ტრიბუნაზე ავიდა, ხოლო რევაზ ძოძუაშვილი მინდორზე დარჩა, მითითებებს აძლევდა ფეხბურთელებს და მსაჯობასაც ითავსებდა.

ნაკრები ცხრა-ცხრა კაციან გუნდებად დაიყო. ერთ მხარეს იყვნენ: ზოიძე, ხიზანიშვილი, აბრამიძე, დიდავა, კალაძე, თოდუა, მენთეშაშვილი, მელქაძე, აშვეთია. მათ მეტოქეობას უწევდნენ: გვარამაძე, კობიაშვილი, შაშიაშვილი, სილაგაძე, აბრამიძე, ნემსაძე, ყაველაშვილი, ქეცბაია, გახოკიძე. თამაშში დავით ხმელიძეც ჩაერთო, რომელმაც გვარამაძე შეცვალა.

ამის მერე სტადიონზე განათების ოდენ რამდენიმე ნათურა აბრდღვიალდა, მწვრთნელებმა მოედნის ცენტრში უხმეს ფეხბურთელებს და მორიგი დავალება მისცეს. ბიჭებმა დარტყმებში ივარჯიშეს, მეკარეებმა — მათ მოგერიებაში. გვარამაძე და ხმელიძე კი გამოსვლებშიც წაავარჯიშეს.

შემდეგ კვლავ დაყვეს ფეხბურთელები, ოღონ სულ სხვა პრინციპით.

დავით ყიფიანი საჯარიმოს ორიგინალურად შესრულებაში ავარჯიშებდა შეგირდებს. დამუშავებულ, ასე ვთქვათ, საშინაო მომზადებაში ნემსაძე, ყაველაშვილი, კალაძე, გახოკიძე და ქეცბაია მონაწილეობდნენ, კარში კი ხმელიძე იდგა. აუცილებელი შეიქნა „ცოცხალი კედელიც“. საამისოდ ოთხი კაცი შეარჩიეს — მელქაძე, აშვეთია, ნაკრების ადმინისტრატორი შალვა კობალაძე და მასაჟისტი როლანდ ხვადაგიანი. რა გაეწყობოდა, ნაკრებს სპეციალური მანეკენები ჯერაც არ გააჩნია.

ერთიცაა, ნაკრების ორ ფეხბურთელს სავალდებულო „ლოტოს“ ფორმებით არ უვარჯიშიათ.

ცალკე იყვნენ: თოდუა, აბრამიძე, შაშიაშვილი, დიდავა, ხიზანიშვილი, სილაგაძე და ქემოკლიძე. ისინი ძოძუაშვილის ხელმძღვანელობით საკუთარი კარიდან ბურთის ამოტანას, ფლანგებზე გახსნას და ბურთის გადატანს ამუშავებდნენ.

დანარჩენები ჯარიმის შემსრულებლებს შეუერთდნენ, ფლანგურ ჩაწოდებებზე და თავურებზე ვარჯიშობდნენ.

ამასობაში დაახლოებით ორი საათიც გავიდა და სასტუმროში დაბრუნების დროც დადგა.

ნაკრების მწვრთნელთაგან დავით ყიფიანს კი მცირე ინტერვიუ ჩამოვართვით.

— ზაზა ჯანაშიასთან და მოსკოვის „ლოკომოტივის“ მთავარ მწვრთნელთან მოლაპარაკებას თქვენ აწარმოებდით. ჯანაშია კი ირწმუნება, ნაკრებში არავის გამოვუძახებივარო.

— ჯანაშია გამოძახებული იყო. თუ ჩემი არ გჯერათ, ვალერი ჩოლარიას ჰკითხეთ.

— თავად ჯანაშიას თუ ელაპარაკეთ?

— მე სიმონის ველაპარაკე და მითხრა, ჯანაშიას ზედმეტი წონა აქვს, სათანადო ფორმაში არ არის და მას რეკომენდაციას არ ვუწევო.

— ჯამარაულთან გქონდათ მოლაპარაკება?

— არა.

— შოთა არველაძე დიდი დანაკლისი იქნება ნაკრებისთვის...

— შოთა არველაძე ჩამოვა.

დავით თავართქილაძე

გადრი კეთილაძის ფოტოები

კახა კალაძე და რევაზ ძოძუაშვილი

თემურ ქეცბაია და ავტოგრაფებზე მონადირენი



მეკარეთუხუცესი ოთარ გაბელია, დავით გვარამაძე (მარცხნივ) და დავით ხმელიძე

ვარჯიშის შემდეგ

გიორგი ნემსაძე

იტალიელების წინააღმდეგ ხომ უძლიერესი შემადგენლობითაც ძალიან ძნელია თამაში და ადვილი წარმოსადგენია, შესუსტებული შემადგენლობით როგორ გაგვიჭირდება. თანაც ყველაფერი ერთმანეთს დაემთხვა, აქეთ კახა კალაძის პრობლემა, იქით შოთა არველაძისა. თუმც ჩვენ ჩვენსას ვეცდებით. ისე არ გაიგოთ, თითქოს მატჩამდე თავს ვიზღვევთ, აი, ხომ ვამბობდითო, მაგრამ, მგონი, გადაჭარბებული არაფერი მითქვამს.

ლევან კობიაშვილი

იმედი მაქვს, იტალიელებთან მატჩით ქომაგებს ხასიათს გამოვუკეთებთ. ისინი რუმინელებთან წაგების შემდეგ ჩვენზე გულგატეხილები არიან. ვეცდებით, იტალიელებს ღირსეულად ვეთამაშოთ. ჩემთვის ეროვნული გუნდი უპირველესია და წარმატებისთვის ყველაფერს გავაკეთებ. რა თქმა უნდა, კახა კალაძის ძმის ამბავი გუნდის თამაშზე იმოქმედებს, მაგრამ მაინც ვეცდებით, იტალიელები დამწუხრებულნი გავუშვათ. მოუგებელი გუნდი, აბა, დღეს რომელია?

მიხეილ ყაველაშვილი

ვგრძნობ, სასურველ ფორმაში ვარ და იტალიელებთან ურიგოდ არ ვითამაშებ. აბა, რა თქმა უნდა იმას, რომ ძალიან, ძალიან გაგვიჭირდება. თანაც ჩვენგან განსხვავებით იტალიელებს, როგორც ვიცი, უძლიერესი შემადგენლობა ჩამოჰყავთ. თუმც, რა გაეწყობა, რაც შეგვიძლია, ვითამაშებთ და ვნახოთ, რა გამოგვივა.

ზურაბ ხიზანიშვილი

რუმინელებთან მატჩი ჩვენთვის ძალიან პრინციპული იყო, არანაკლებია იტალიელებთან შეხვედრაც. პროგნოზისგან თავს შევიკავებ, მხოლოდ გეტყვით, რომ ძალიან გაგვიჭირდება. შეიძლება, ზოგიერთმა ქართველმა ფეხბურთელმა თავის კარიერაში იტალიის დონის გუნდთან ველარც მოახერხოს თამაში და რაც შეგვიძლია, ყველაფერი 2 ივნისს უნდა გავაკეთოთ.

კობა ინასარიძე

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. VIII ჯგუფი. 1 ივნისი. ახალგაზრდულები

საქართველო — იტალია

თბილისი. „ეროვნული". 20.15

რუსთაველ ფოლადზე ფეხშიშველმა თუ არ ირბინე, რაა ფეხბურთი

გუშინწინდელთან შედარებით გუშინ ერთი საათით გვიან ეწვია „ფოლადს" საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები. მწვრთნელებისა გასაგებია, ისინი ცდილობენ, ვარჯიშის დაწყება სათამაშო დროის დასაწყისს დაუახლოვონ. ეს არ უფიქრია „ფოლადის" მომსახურე პერსონალს და როცა ნაკრებმა ნახევარი საათი დაიგვიანა, აწრიალდნენ.

იქვე იყვნენ „გორდას" მოთამაშეები და სამიც რუსთაველი ვეტერანი ფეხბურთელი. ვარლამ კილასონიამ, ზურაბ არჩვაძემ და ნიკოლოზ ტოგონიძემ თავიანთი ამბების მოყოლით შეგვიქციეს და ამასობაში ახალგაზრდული გუნდის ავტობუსიც მოადგა სტადიონს.

ბიჭები ხალისით ჩამოვიდნენ ავტობუსიდან, უფროსი კოლეგების დახვედრამ და მოკითხვამ კიდევ უფრო გაახალისათ. ორ წუთში სავარჯიშოდ გაემზადნენ და ვახტანგ კოპალეიშვილს გარს შემოერტყნენ. მწვრთნელის ხუთწუთიანი დიალოგიც დაიწყო...

სერგო კუტივაძის და ვახტანგ კოპალეიშვილის ლექცია

ამასობაში დავით გოგიამ გიორგი ლომაია და მირზა მერლანი ცალკე გაიყვანა. მარჯვნივ, მარცხნივ, ზევით, წინ... გვარიანი ოფლნადენები იყვნენ მეკარეები, როცა კოპალეიშვილმა და კუტივაძემ ფეხბურთელთა მოთელვა გაახურეს.

ორი საათი გაგრძელდა ვარჯიში და თამამად შეიძლება ითქვას, რომ წვრთნა ინტენსიური და ხალისიანი იყო. მოთელვას გაჭიმვითი ვარჯიშები ცვლიდა, სისწრაფეთა შემოწმება და, რაც მთავარია, ძალიან ხშირი კონტაქტი ბურთთან. ვერსად ნახავდით წრეზე უაზრო სირბილს და ხელბურთს თუ კალათბურთს ფეხბურთის ილეთებით, რაც ასე პოპულარულია ჩვენს მწვრთნელებში.

მერე კომბინაციების დამუშავებას მიჰყვეს ხელი. აქ კი ვიტყვი, რომ ბიჭებმა იმედი გამიცრუეს. მწვრთნელი ერთს ითხოვდა, კონკრეტულ დავალებას აძლევდა ფეხბურთელებს, ისინი კი მის მესამედს ვერ ასრულებდნენ. სანთლით იყო საძებარი კარგი, გამოზომილი პასი და ზუსტი დარტყმა. მეკარეები — გიორგი ლომაია და მირზა მერლანი ჯაბნიდნენ შემტევებს. აკი აღნიშნა კიდეც დავით გოგიამ, ჯერჯერობით მათი მზადყოფნით კმაყოფილი ვარო.

ბოლოსკენ ორმხრივი თამაშის დროც დადგა. გივი კვარაცხელიამ და სოსო დევიძემ გვერდით ხაზთან მოირბინეს და ცამეტქაცვიანი ბუცების ნაცვლად ექვსიანები მოირგეს. ჩვენი დიალოგიც მაშინ შედგა.

— კარში უბრალო ვარჯიშისას ვერ დაგირტყამთ და იტალიას გაუტანთ თქვენ გოლს?

— აგერ ნახავთ, თუ ვერ გავუტანთ. ახლა ისეთ ჯანზე ვართ, რომ აუცილებლად შევაგდებთ.

— 1 ივნისს, ღამის თერთმეტის ნახევარზე გაგახსენებ მაგ სიტყვებს.

— ეგრე იყოს, 1 ივნისს ვილაპარაკოთ.

...საჯარიმოს მისადგომებთან ბურთით ლევან კორღალიძე დგას. „ჰეი, სტარკოვ, დაარტყი, რაღას უცდი", — დაუძახა ლომაიამ. სკონტოელმა რკინიგზელს ერთი გახედა და მოჭრილი, ძლიერი დარტყმით ბურთი ცხრიანში ჩასვა. „ეგეც სტარკოვის დარტყმული... მიდი, მიდი, ბურთი გადმომიგდე" — ღიმილად იქცა ლევანი.

...მოედნის კიდესთან ედიკ საჯაია და მალხაზ ასათიანი ერთმანეთში პასებით ერთობიან. ბიჭებს კოპალეიშვილი მიუახლოვდა. „საჯა, მეკარეობას თავი რატომ გაანებე?" ვიტჯორჯიელი ხვდება მწვრთნელის ნართაულს და ეღიმება. „მართალია, პირველი ოფიციალური გოლი მალხაზმა გამიტანა, ხობში, საბავშვო ტურნირზე".

ორმხრივი თამაში გაჩაღდა და კოპალეიშვილმაც ლამის ღრიალი დაიწყო — მარჯვენა, მარცხენა, თავით, შემოურბინე... ჭკუა უნდა გქონდეს ფეხბურთელს, უფრო მეტი ფიქრია საჭირო.

სერგო კუტივაძე თავს აქნევს, დავით გოგია ჩაფიქრებულია.

სამი დღეა, ახალგაზრდულ გუნდს დავდევ და მათი სიხარულისა თუ საფიქრალისა ცოტა მაინც გამეგება. სამდღიანი დაკვირვების შემდეგ ეს შემიძლია, მოგახსენოთ: ჩინებულ ხასიათზე იმყოფებიან ჩვენი ბიჭები. ხალისიანად ვარჯიშობენ, ჯანმრთელად არიან და ერთმანეთშიც დიდებული დამოკიდებულება აქვთ, ერთმანეთს პატივს სცემენ. რაც ყველაზე საოცარია, ძალის მოზღვავებას და სიმსუბუქეს გრძნობენ.

რაც შეეხება ტექნიკურ-ტაქტიკურ მომზადებას, ამ მხრივ კრიტიკული ვითარებაა და ძალიანაც ჩამოვრჩებით. იტალიასთან ისევ ბრძოლა და ერთსულოვნება თუ გვიშველის. და კიდევ ის, რაც გუშინ ფეხბურთელებისგან მოვისმინე, „იტალიასთან თამაში ჩვენთვის ერთი დიდი შანსია. 1 ივნისს შეიძლება ჩვენი კარიერა რადიკალურად შეიცვალოს, ამიტომ ვეცდებით, საკუთარ შესაძლებლობებზე ავმაღლდეთ და გავიმარჯვოთ". ვერაფერს იტყვი, იმედიანი სიტყვებია.

ვარჯიში თითქმის დასრულდა. კოპალეიშვილის მითითებით ფეხბურთელებმა ბუცები და გეტრები გაიძრეს და „ფოლადს" ფეხშიშველებმა შემოურბინეს ტუნდულით. მერე კიდევ გაჭიმვები და ახალგაზრდული გუნდი ავტობუსისკენ გაეშურა. თბილისისკენ გამომგზავრებამდე ვახტანგ კოპალეიშვილმა ორიოდ წუთი ჩვენთვისაც მოიცალა...

— ვცდილობთ, ბიჭებს კარგი განწყობილება შევუნარჩუნოთ და მგონი, ჯერჯერობით ამას ვახერხებთ. ფეხბურთელთა ფიზიკური მზადყოფნა დამაკმაყოფილებელია. არც ტრავმებს ვუჩივით ღვთის მადლით.

31 ივნისს თბილისში, „ეროვნულზე" ვარჯიში გვაქვს დაგეგმილი. 1-ში კი, პირველ საათზე, იტალიელთა ვარჯიშს დავესწრებით და სათამაშოდ მოვემზადებით.

ჩემმა მოწინააღმდეგე კოლეგამ შემადგენლობა მნიშვნელოვნად შეცვალა, იტალიაში მარკო ტარდელიმ თითქმის სხვა შემადგენლობა დაგვახვედრა, კლაუდიო ჯენტილეს კი შვიდი ახალი მოთამაშე მოჰყავს. ჩვენ გვაქვს რუმინეთ — იტალიის ახალგაზრდული გუნდების მატჩის ვიდეოფირი. ფეხბურთელებთან ერთად გავარჩიეთ და გარკვეული წარმოდგენაც შევიქმენით. დანარჩენს თავად თამაში გასცემს პასუხს.

წავიდა „ფოლადიდან" ნაკრები. მადლობა გადაუხადა რუსთაველებს მასპინძლობისთვის. ახლგაზრდული გუნდისთვის იქ არ დაუმადლებიათ სტადიონი და ორიოდ საათით ყურადღება.

კოპალეიშვილს ჯერ კიდევ ეიმედება, რომ „ეროვნულიდან" ლევან მელქაძეს დაუბრუნებენ. „ვიტ ჯორჯიას" ბომბარდირის ახალგაზრდულში მობრუნებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ახალგაზრდებს ჰპირდებიან, ეგებ მეკარე დავით ხმელიძე შეგაშველოთო. ხმელიძე ძლიერი მეკარეა, მაგრამ კოპალეიშვილს მეორე თავდამსხმელი უფრო სჭირდება. იტალია კი მალე გვეწვევა.

გამუკა ძვანტალიანი



ახალგაზრდებს ვარჯიშზე თავი არ დაუზოგავთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი მეტოქეები

იტალია

ენრიკო კიეზა

ვიერი-დელვეკიო კიეზამ შეცვალა

სწრაფად იცვლება მოვლენები იტალიის ნაკრებში. ორიოდ დღის წინ გაუწყეთ, რომ სერია A-ს 32-ე ტურში „ინტერი" — „ლაციოს" მატჩისას კრისტიან ვიერი დაშავდა და „სკუადრა აძურას" თბილისში მის ნაცვლად „რომას" თავდამსხმელი მარკო დელვეკიო ჩამოჰყვებოდა. გუშინ გავრცელებული ინფორმაციით კი რომაელ ფორვარდს თბილისში ვერ ვიხილავთ.

საქართველოში გამომგზავრებამდე ერთ-ერთი მორიგი ვარჯიშისას დელ ვეკიომ საზარდულის ტრავმა მიიღო და ექიმების განცხადებით, 2 ივნისამდე, ანუ საქართველო — იტალიის მატჩამდე მის გამოჯანმრთელებაზე ლაპარაკიც ზედმეტია, ეგ კი არა, სავარაუდოა, სერია A-ს დარჩენილ ტურებსაც გამოტოვებს. მწვრთნელი ჯოვანი ტრაპატონი იძულებული გახდა, შემცვლელი ეპოვა და ბოლო მომენტში გამოაცხადა, რომ ნაკრებში „ფიორენტინას" მეგოლე ენრიკო კიეზას უხმო.

ვინც სერია A-ს მიმოხილვას ნაკლებად ადევნებს თვალს, გეტყვით, რომ კიეზა წლეულს „ფიორენტინაში" ერთ-ერთ საუკეთესო სეზონს ატარებს და 22 გოლით ბომბარდირთა მარაქაშია გარეული. სერია A-ს საუკეთესო მეგოლეებს — შევჩენკოსა და კრესპოს მასზე ორი გოლით მეტი აქვთ გატანილი.

„არცთუ ცუდი სეზონი გამოვიდა და მოხარული ვარ, რომ ნაკრებში კვლავ გამომიძახეს. ვეცდები, ტრაპატონის იმედები გავამართლო" — განაცხადა 30 წლის ფორვარდმა.

ვარჯიშისას ასევე დაშავდა უდინეზეს მცველი ვალერიო ბერტოტო და არც ის გვესტუმრება. ნაკრებში მას კიდევ ერთი ფიორენტინელი, ალესანდრო პიერინი შეცვლის.

ნიკა შუბლაძე

ზამთარაძეც ფრაიბურგელია

ფინკეს ქართული ხუთეული

24 წლის ზაზა ზამთარაძე გერმანული „ფრაიბურგის" მეხუთე ქართველი ლეგიონერი გახდა. იაშვილის, კობიაშვილის, ცქიტიშვილისა და კიკნაძის კლუბთან ზამთარაძემ 1+1 წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი და მომავალი სეზონიდან გერმანიის ბუნდესლიგაში იბრძოლებს.

ზამთარაძეს 94 მატჩი აქვს ჩატარებული ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის გუნდებში, ბოლოს თბილისის „დინამოში" ირიცხებოდა და კონტრაქტის დასრულებისას, პირველი წრის ბოლოს ფრაიბურგში გაემგზავრა გასასინჯად. ფოლკერ ფინკე ერთ კვირას აკვირდებოდა ქართველ მცველს და დროებით შვეიცარიულ „ვინტერტურში" გაუშვა, 21 მაისს კი ზაზა კვლავ „ფრაიბურგში" დაბრუნდა და მწვრთნელთან ერთსაათიანი დიალოგის შემდეგ თავისი ბედი გერმანულ კლუბს დაუკავშირა.

ზაზა ზამთარაძე

თბილისში დაბრუნებულ ზამთარაძეს გუშინ შევეხმიანეთ.

— მადლობა ღმერთს, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდა. ბედნიერი და კმაყოფილი ვარ, „ფრაიბურგი" ამ ეტაპზე საუკეთესო ვარიანტი იყო ჩემთვის და შევეცდები, თავი არ შევირცხვინო.

ფინკე ჩინებული ადამიანია, ერთკვირიანი დაკვირვების შემდეგ მისი რეკომენდაციით შვეიცარიაში წავედი. დამპირდა, მალე კონტრაქტს გავაფორმებთო და სიტყვაც შეასრულა. „ვინტერტურში" ექვსი მატჩი ჩავატარე. გუნდის ინტერესების გამო მარჯვენა ნახევარმცველად ვთამაშობდი და ახალ ამპლუას ჩინებულად შევეგუე. ბოლო ორ მატჩზე ფინკეც ჩამოვიდა, ჩემი თამაშით კმაყოფილი დარჩა და კონტრაქტის გასაფორმებლად ფრაიბურგში დამიბარა. „ვინტერტურში" კიდევ სამი მატჩი უნდა ჩამეტარებინა, მაგრამ გერმანიაში ვადაზე ადრე მომიხდა ჩასვლა, რადგან ერთ-ერთ ვარჯიშზე კუნთი გავიწყვიტე. მკურნალობის ხარჯები „ფრაიბურგმა" გაიღო. ახლა თავს კარგად ვგრძნობ. ფინკემ კონტრაქტის გაფორმების წინ მითხრა, ყველანაირად გვერდში დაგიდგები და იმედი მაქვს, გამიმართლებო. ასეთ კაცს ვერ ვუმტყუნებ, თავს არ დავზოგავ და მჯერა, მწვრთნელის ნდობას გავამართლებ — გვითხრა ზამთარაძემ.

ბუნდესლიგის დასრულების შემდეგ „ფრაიბურგი" სამკვირიან შვებულებაშია, ზაზაც ამიტომ ჩამოვიდა თბილისში და ახალ გუნდს 19 ივნისს შეუერთდება. სწორედ ამ დღეს დაიწყებს „ფრაიბურგი" უეფას თასის მატჩებისთვის სამზადისს.

ბაატა ქვანტალიანი

რუსთავში ახსოვთ აფხაზეთი

ბევრი გოლი და ლამაზი სანახაობა, თავისებურად ფიქრიანი დღე და, რა თქმა უნდა, ცოტა ნაღველიც ერია რუსთავის „ფოლადზე" 27 მაისს ჩატარებულ მატჩში — „გორდამ" აფხაზეთის ნაკრებს უმასპინძლა. ამხანაგური მატჩი იყო და ამხანაგურადვე დამთავრდა, თუმც საფეხბურთო ცეცხლი 4:4-ის მიუხედავად, თამაშის ბოლო წამამდე ენთო მინდორზე.

ორი ათასამდე მაყურებელი სიამოვნებით უცქერდა გაჩაღებულ ორთაბრძოლას. „გორდას" თავკაცმა გია გეგუჩაძემ ძირითადი შემადგენლობა გამოიყვანა, ნუგზარ ბოჯგუამ ძირითადის რამდენიმე მოთამაშე სხვადასხვა მიზეზით მოისაკლისა, თუმც ტორპედოელ ვალტერ გურჩუას, სიონელ გელა გაბისონიას, კოლხ ჯონი შალამბერიძეს და სხვებს ვეტერანი გრიგოლ ცაავა ამოუდგა გვერდით და 90 წუთიც შეუცვლელად ითამაშა.

სტუმართაგან გოლები ცაავამ, გაბისონიამ, გურუამ და ახალგაზრდა რცხილაძემ გაიტანეს. მასპინძელთაგან თავი მიქაძემ, ჯელაძემ, სოხაძემ და მიშველიძემ გამოიჩინეს.

აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაცია მადლიერია რუსთაველების, ქვემო ქართლის გუბერნატორ ლევან მამალაძის, სამხარეო პოლიციის უფროს ალეკო ბუკიასი, რუსთავის მერის ლაშა მინდელის.

აფხაზეთის ნაკრები კი კიდევ ითამაშებს, მათ სხვა ქალაქებშიც ელიან.

დათო დანელია

რუმინეთი

კივუმ ჰაჯობა დაიწყო

ასეთი პატარა და უკვე კაპიტანი...

კრისტიან კივუმ რუმინეთს პირველად თბილისში უკაპიტნა

რუმინეთის ნაკრებს თბილისშიც მან უკაპიტნა, თუმცა რაც გეორგე ჰაჯიმ სანაკრებო კარიერა დაასრულა, მანამდე ოთხ ფეხბურთელს ჰქონდა შანსი, „კარპატელი მარადონას" მემკვიდრე გამხდარიყო.

კრისტიან კივუმ, ამსტერდამის „აიაქსისა" და რუმინეთის ეროვნული გუნდის მარცხენა მცველმა, დროებითი კაპიტნის პატივი მეგობრისგან, გერმანულ „ვოლფსბურგში" მობურთალ დორინელ მუნტიანუსგან ჩაიბარა.

გუშინ კი კრისტიან კივუმ მემკვიდრეობა ოფიციალურად მიიღო. ლადისლაუ ბოლონიმ ასე გადაწყვიტა.

— მოახლოებულ ორ მატჩში და შემდგომაც რუმინეთის ნაკრების კაპიტანი 20 წლის კრისტიან კივუ იქნება — მოკლედ თქვა რუმინელთა მწვრთნელმა, რომელიც 7 ივნისიდან ლისაბონის „სპორტინგს" ჩაუდგება სათავეში. აი, დარჩება თუ არა ბოლონი ნაკრებში, ფედერაციას ჯერ არ გადაუწყვეტია.

თავად ახალგამომცხვარი კაპიტანი კი მორიდებული და თავმდაბალიც ყოფილა: „ვფიქრობ, რომ პრინციპული მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს, ვინ იქნება გუნდის კაპიტანი, საერთოდ, კაპიტანს უნდა ჰქონდეს უნარი, თანაგუნდელები შემოიკრიბოს და დიდი გამარჯვებისკენ გაუძღვეს". კივუმ ჰაჯიზეც ილაპარაკა: „კაპიტანი კი გავხდი, მაგრამ, ცხადია, ჰაჯის ვერ შევედრები. ვერც მე და ვერც ვერავინ. ჰაჯი უნიკალური ფეხბურთელი გახლდათ. ვერც ერთი ვერ შევძლებთ იმას, რაც მან რუმინული ფეხბურთისთვის გააკეთა".

გიორგი ვაშაკიძე

1868 წლიდან: "მიხეილის" საქალაქო საავადმყოფო

1924 წლიდან: რესპუბლიკური საავადმყოფო პლეხანოვზე

1973 წლიდან: რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფო ვაჟა-ფშაველაზე

2000 წლიდან: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიკოს ნ. ყიფშიძის სახელობის

ცენტრალური კლინიკა



მისამართი

380109. ვაჟა-ფშაველას 29

ტელეფონები

კანცელარია: 39 23 89

ცნობათა ბიურო: 39 22 89

მიმღები განყოფილება: 39 26 32

საუკუნოვანი გამოცდილება

უახლესი ტექნოლოგიები

სპორტსმენთა ფსიქოლოგიური მომზადება სხვადასხვა დონის ასპარეზობებისთვის, აგრეთვე სტრესების, დისკომფორტის, შფოთვის, კომპლექსების, დეპრესიის, შიშების მოხსნა, ურთიერთობების პრობლემების მოგვარება.

მიღება წინასწარ ჩაწერით — **29-26-84.**

კონსულტანტი: ფსიქოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი,

დოცენტი ნატა გელოვანი

(მაღალი რანგის სპორტსმენებთან მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილებით)



გია გიგატაძე

27 მაისს დედაქალაქურ „შევარდენზე“ ქვედალიგელმა წყალტუბოს „სამგურალმა“ გადათამაშებაში ზედალიგელ გორის „დილას“ ალალ ბრძოლაში აჯობა და ერთნლიანი შესვენების შემდეგ ისევ უმაღლესს დაუბრუნდა.

იმერული კლუბისთვის ეს ამბავი ახალი არ იყო. „სამგურალს“ 1995-96 წლების გათამაშებაშიც პირველ ლიგაში მოუნია თამაშმა და წყალტუბოელებს ის ერთი სეზონი ეყოთ აღსაზევებლად. „სამგურალის“ უმაღლესში დაბრუნება არც მაშინ ყოფილა შემთხვევითი და, მით უფრო ,ახლა. მართალია, გუნდს გადათამაშებაში მოუხდა საკუთარი სიძლიერის დამტკიცება, მაგრამ, ეს, იქნებ, უკეთესიც იყო.

„სამგურალმა“ ჩემპიონატის საშემოდგომო ეტაპი იასონ ბზიკაძის ხელმძღვანელობით ჩაამთავრა. ჩემპიონატის განახლებამდე ცოტა ხნით ადრე კი მთავარმა მწვრთნელმა ოჯახური მდგომარეობის გამო დროებით უცხოეთს მიაშურა და საქმეც თავის თანაშემწე გია გიგატაძეს გადააბარა. ასე რომ, თებერვლიდან მოყოლებული, „სამგურალის“ მთავარი მწვრთნელის მოვალეობას გიგატაძე ასრულებდა და გუნდის საბოლოო წარმატებაში ლომის წილი სწორედ მას უდევს.

ს. კ. სამგურალი

დაარსდა 1945 წელს

1990-95 და 1996-00 წლებში თამაშობდა ეროვნული ჩემპიონატის A ჯგუფში. ჩაატარა 301 მატჩი: 105 მოგება, 47 ფრე, 149 წაგება. ბურთების სხვაობა 370-532.

საუკეთესო შედეგი — IV ადგილი (1992-93).

1995-96 და 2000-01 წლებში თამაშობდა B ჯგუფში.

2000-01 წლების სეზონში დაიკავა მესამე ადგილი, მოხვდა გადათამაშებაში და უმაღლესი ლიგის საგზურისთვის სძლია გორის „დილას“.

1998 წლის **საქართველოს თასის ფინალისტი.** ჩაატარა 39 მატჩი: 18 მოგება, 11 ფრე, 10 წაგება. ბურთების სხვაობა 72-56

რეკორდული მოგება: 7:0 (10.03.93 — სიონი, თასი)

რეკორდული წაგება: 0:11 (26.03.94 — დინამო, თასი)

ყველაზე მეტი მატჩი A ჯგუფში: **გივი ჯანელიძე** — 160

ყველაზე მეტი გოლი A ჯგუფში: **მერაბ მეგრელაძე** — 41

კლუბის მიერ ჩემპიონატებში გატანილი მე-100 გოლის ავტორი: **გოჩა ჩისლაძე** (20.06.92), მე-200 გოლის ავტორი: **უმზარ ხურცილავა** (19.05.94). მე-300 გოლის ავტორი **მალხაზ თევდორაძე** (22.04.98)

კლუბის სტადიონი: 26 მაისი (ტევადობა 12 000). გაიხსნა 1978 წელს

წყალტუბოდან მომავალის წარსული და მომავალი

გია გიგატაძეს ჩვენში აქამდე უფრო ფეხბურთელად იცნობდნენ — მცველი გახლდათ. თამაშობდა „ტორპედოში“, „მარგვეთში“, „კოლხეთში“. უცხოეთშიც მოუსინჯავს ძალა — შვედეთის მესამედივიზიონელ ალბერიეტის „მაიფში“ და რუსული მეორე ლიგის ნიჟნივარტოვსკის „სამოტლორ-200ſ“-ში. მისი სამწვრთნელო დებიუტი შარშანწინ შედგა. გიგატაძე „სამგურალში“ რევაზ ბურკაძემ მიიყვანა თანაშემწედ. მერე ბურკაძე მალევე იასონ ბზიკაძემ შეცვალა. ბავშვობიდან მეგობრებს, სხვადასხვა დროს თანაგუნდელებსაც, არ გაჭირვებიათ ურთიერთობა გიგატაძე მეთერთმეტე ეროვნულში ბზიკაძის მარჯვენა ხელი იყო. მართალია, ეს გათამაშება წყალტუბოური გუნდისთვის ცუდად დასრულდა, გუნდი უმაღლეს ლიგას გამოეთხოვა, მაგრამ ამისგან ტრაგედია არავის შეუქმნია. პირიქით, „სამგურალმა“ უმაღლესში დაბრუნებაზე იზრუნა და საწადელსაც მიაღწია.

— ისე, ცოტა იღბალი და ჩვენც, მწვრთნელებს მეტი გამოცდილება რომ გვქონოდა, „სამგურალი“ შარშან უმაღლესი ლიგიდან არ გავარდებოდა. ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული — გვიამბობს გია გიგატაძე.

— იასონ ბზიკაძემ შუა გზაში მიატოვა გუნდი...

— არა, არ მიუტოვებია, უბრალოდ მას სხვა გამოსავალი არ ჰქონდა. დაგვიბარა კიდეც, დროებით მივდივარო. ჩვენ მისი საქმე გავაგრძელეთ.

— კი მაგრამ, ოთხი თვე გავიდა, ის კი არ გამოჩენილა...

— იასონი სისტემატიურად გვეხმიანებოდა, გუნდის ამბებს კითხულობდა. „დილასთან“ მატჩის დროს ექვსჯერ დარეკა.

— თქვენ მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელი ხართ. როდემდე?

— ეგ არ ვიცი. თუ ბზიკაძე დაბრუნდება, მე მას ხელს ვერ შევუშლი.

— გუნდის წვრთნაში ვინ გეხმარებოდათ?

— მეკარეებს ავთო ჯანელიძე ავარჯიშებდა, ბესიკ ბერაძე მოთამაშე მწვრთნელი იყო. ორივე დიდ დახმარებას მიწევდა მუშაობაში.

— ფეხბურთელებთან ურთიერთობა ხომ არ გიჭირდათ?

— ასე რომ ყოფილიყო, ერთი წუთიც არ გავჩერდებოდი. „სამგურალი“ მეგობრული გუნდია, ზრდილობა, ვაჟკაცობა არავის აკლია.

— „დილასთან“ მატჩზე რას იტყვით, გჯეროდათ გამარჯვების?

— გორელების წინააღმდეგ ბევრჯერ მითამაშია და საკუთარი გამოცდილებიდან ვიცი, რას წარმოადგენს „დილა“. თუ იშტაზეა, ნებისმიერი მეტოქის დამარცხება შეუძლია. სოღოლაშვილი, გაგნიძე, რევაზიშვილი, ხორგუაშვილი დიდ ძალას წარმოადგენენ, მაგრამ არც ჩვენ გვაკლია გამოცდილი მოთამაშეები. მთავარი იყო, ფსიქოლოგიური ბარიერი გადაგველახა, მეტოქეს არ შევშინებოდით. ჩვენ ასე შევთანხმდით, რადაც არ უნდა დაგვჯდომოდა, მეტოქისთვის უნდა გვეჯობნა, ვერ მოვახერხებდით და, არავინ დაგვძრახავდა. დაძაბული თამაში იყო. მალე დავწინაურდით და ამან მეტი რწმენა შემატა ბიჭებს. მთელმა გუნდმა დიდი მონდომებით, ვაჟკაცურად ითამაშა და მატჩი გამარჯვებამდე მიიყვანა. მოხარულნი ვართ, რომ სეზონმა ფუჭად არ ჩაიარა, დასახულ მიზანს მივაღწიეთ.

— ეს მხოლოდ მწვრთნელების, ფეხბურთელების დამსახურებაა, თუ...

— არა მარტო მათი. მეტსაც გეტყვით, თანაც არახალს. „სამგურალი“ საერთოდ რომ არსებობს, ეს წყალტუბოს გამგებლის, ბატონ მირზა ქორქაშვილის და მისი თანამოაზრეების დამსახურებაა. ამ ხალხს ფეხბურთი უყვარს და ამ შეჭირვებულ ყოფაშიც გვერდში უდგას გუნდს. მართალია, „სამგურალი“ ჩვენში ფინანსურად შეძლებულ კლუბთა რიცხვს არ მიეკუთვნება, მაგრამ საარსებო წყარო მაინც აქვს. მადლიერნი ვართ კლუბის ახალი ხელმძღვანელობის. „სამგურალის“ პრეზიდენტ ზაზა სოფრომაძეს მაღალი თანამდებობა უჭირავს — საქართველოს სოცუზრუნველყოფის ერთიანი სახელმწიფო ფონდის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეა. შესაძლოა, მას ზედმეტ ტვირთადაც აწევს კლუბში საქმიანობა, მაგრამ იგი ყოველთვის იცლის ჩვენთვის, მხარში გვიდგას და „სამგურალის“ წარმატებაში საკუთარი წვლილი მიუძღვის. ისევე როგორც კლუბის ვიცეპრეზიდენტ მამუკა საღარეიშვილს. მადლობას ვუხდი კლუბის ყველა წევრს, ჩვენი გუნდის ყველა გულშემატკივარს, რომლებიც მრავლად გვყავდა და, არა მარტო წყალტუბოში, ჩვენ ქუთაისშიც ძალიან ბევრი გვქომაგობდა.

— გუნდის ცალკეულ რგოლებზეც ვთქვათ.

— მეკარეებმა ბოდოკიამ და ვარდანიძემ სტაბილურად ითამაშეს. ისინი თანაბარი ძალის არიან და მორიგეობით იცავდნენ კარს. ლანჩხუთში გაძევების შემდეგ ვარდანიძე ცოტა ამოვარდა ფორმიდან, ამიტომ ბოლო მატჩებში აღარ გავრისკეთ და ბოდოკიას ვენდეთ, მით უმეტეს თეიოს თამაში წაუვიდა. მან „დილასთან“ მშვენივრად გაართვა თავი მოვალეობას, უშიშრად და, რაც მთავარია, საიმედოდ ირჯებოდა.

საერთო ჯამში კარგად გამოიყურებოდა უკანა ხაზი. ბერაძე მე დღესაც ერთ-ერთ საუკეთესო მცველად მიმაჩნია საქართველოში. საზრიანი თამაშით გამოირჩეოდა ლიბერო ფრანგიშვილი, რომელიც საშემოდგომო ეტაპის შემდეგ დაგვიბრუნდა „კოლხეთიდან“. დაცვის სიმყარე ჭელიძეზეც ბევრად იყო დამოკიდებული და, ვფიქრობ, მან ნდობა გაამართლა. ლევან ქობულაძე ბოლო ხანს ტრავმებმა გაიწამა, თუმც გადამწყვეტი თამაშისთვის იგი სრულ მზადყოფნაში აღმოჩნდა. ტრავმების გამო შეეშალათ ხელი კარგი მონაცემების მქონე თირქიას და ბანძელაძეს, თორემ ამათ უფრო ხშირად მოუწევდათ თამაში.

გუნდის ნახევარდაცვა უთუოდ გაძლიერა „ტორპედოდან“ მოსულმა თურმანიძემ. ბევრს და ნაყოფიერად შრომობდნენ მოედანზე ჯინჭარაძე, დარსაძე, კიკვიძე. ესენი უშუალო მოვალეობას შემტევ ფუნქციებსაც კარგად უთავსებდნენ. ღონღაძემ თითქმის წელიწადი გამოტოვა ავადმყოფობის გამო, იგი ბოლოსკენღა შემოგვიერთდა, მაგრამ სასარგებლოდ გაისარჯა. მებრძოლი ხასიათის, პერსპექტიული ბიჭია კოპალიანი, იგი ხშირად ხვდებოდა ძირითადში. რაც შეეხება ფხაკაძეს, ფუტკარაძეს, ვადაჭკორიას, მათ ტრავმები აწუხებდათ და-საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენა ამის გამო არ დასცალდათ.

„სამგურალს“ სამი გამოკვეთილი თავდამსხმელი ჰყავს — ქუთათელაძე, კვერნაძე და ჯიქია. სამივე სწრაფი და ტექნიკურია. ქუთათელაძე წინ შრომატევად სამუშაოს ასრულებდა და ბომბარდირის თვისებებითაც გამოირჩა. ჯიქია კი ჯერ 17 წლისაა, მონდომება არ აკლია და თუ ასე გააგრძელა, კარგ ფორვარდად ჩამოყალიბდება.

გუნდთან ერთად რამდენიმე ჭაბუკი ფეხბურთელი ვარჯიშობდა. ტეხოვმა და ცუცქირიძემ თამაშიც მოასწრეს, მაგრამ ამათ ჯერ ბევრი შრომა მართებთ ძირითადში მოსახვედრად.

— შინ და გარეთ თქვენ სხვადასხვა სათამაშო სქემას მიმართავდით...

— წყალტუბოში, როგორც წესი 3-5-2-ით ვთამაშობდით, გასვლაზე 4-4-2-ით. ისე, მეტოქესაც გააჩნდა. მაგალითად, „დილასთან“ 4-5-1-ით თამაში ვარჩიეთ.

— სპეციალისტები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ „სამგურალი“ პირველ ლიგაში გამორჩეულად თამაშობდა. ჩვენც ამ აზრისა ვართ. მაგრამ ჯერ ექვსეულში მოხვედრა გაგიჭირდათ, მერე „გურიას“ და „მეტალურგს“ ჩამორჩით და მხოლოდ გადათამაშების იმედად დარჩით...

— ფეხბურთში ყველაფერი ხდება. ჩვენ ჯერ კიდევ წინასწარ ეტაპზე გვქონდა გაუთვალისწინებელი დანაკარგები — „ოკეანესთან“, „თბილისთან“. ეტყობა, ბიჭები სუსტ მეტოქეებთან ვერ ახერხებდნენ მობილიზებას. დასკვნით ეტაპზე თავიდან კარგად მიგვდიოდა საქმე, მაგრამ ბოლოსკენ ცოტა მოვისუსტეთ. ამას ობიექტური მიზეზებიც ჰქონდა. გუნდის ლიდერები ჯინჭარაძე და კიკვიძე ტრავმების გამო სრული დატვირთვით ვერ თამაშობდნენ. კიკვიძემ ზესტაფონში „მეტალურგთან“. პრინციპულ მატჩში საერთოდ ვერ შეძლო მოედანზე გასვლა. სხვისი არ ვიცი და, მე კი ვფიქრობ, გათამაშების ფორმულამ პირველ ლიგაში ბრძოლა უფრო საინტერესო და დაძაბული გახადა. აქ ყველაფერი, ფაქტობრივად, ბოლო ტურში გაირკვა.

— „სამგურალი“ უმაღლესში პირდაპირ ვერ მოხვდა, მაგრამ ხომ არ ფიქრობთ, უმაღლესლიგელ კლუბთან გადათამაშებაში გამარჯვებით თქვენმა გუნდმა უფრო აიმაღლა ავტორიტეტი...

— გეთანხმებით. უმაღლესში გადაუთამაშებლად აღზევება სასიამოვნო იქნებოდა, მაგრამ „დილასთან“ გამარჯვებამ ჩვენ სიხარული გაგვიორმაგა. სულ სხვა გრძნობა იყო...

— ეს იქნებ ჭორიცაა, მაგრამ ამბობენ, საახალსეზონოდ „სამგურალის“ რამდენიმე მოთამაშე შესაძლოა სხვა გუნდში აღმოჩნდესო.

— ჩვენ უმაღლეს ლიგაში იმისთვის არ გადავსულვართ, რომ მომავალი მეტოქეები გავაძლიეროთ. ფეხბურთელების უმრავლესობას კლუბთან კონტრაქტი აკავშირებს და ნებართვის გარეშე ვერავინ ვერსად წავა. დამოუკიდებელი არჩევანის უფლება, რამდენადაც ვიცი, მხოლოდ თურმანიძეს და კვერნაძეს აქვთ. მათ მაისის ბოლომდე უწევდათ ჩვენთან ყოფნა. თუკი ისურვებენ, ისინი „სამგურალში“ დარჩებიან, თუ არადა გზა ხსნილი აქვთ.

— როგორ ფიქრობთ, „სამგურალის“ დღევანდელი შემადგენლობა მზადაა უმაღლესი ლიგისთვის?

— რატომაც არა. ოღონდ საამისოდ ბევრი შრომა და ოფლისღვრა იქნება საჭირო.

— ხელმძღვანელობასთან ხომ არ გისაუბრიათ, დარჩებით თუ არა თანამდებობაზე?

— წინასწარ ვერაფერს გეტყვით. 8 ივნისს შევიკრიბებით და ყველაფერს მაშინ გადავწყვეტთ. თუ კი კლუბის მესვეურთ ჩემი მუშაობა დააკმაყოფილებთ, დავრჩები. რომ იცოდეთ, მდგომარეობას რეალურად ვაფასებ. მთავარია საქმე გაკეთდეს და ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს, ვინ გაუძღვება გუნდს. როგორც ვთქვი, შესაძლოა იასონ ბზიკაძე დაბრუნდეს. მასთან სიამოვნებით ვითანამშრომლებ.

იუზა კაციტაძე

ერთ დროს ეროვნულ ნაკრებში ნათამაშევი ბესიკ ბერაძე (მუქ ფორმაში), დღეს „სამგურალის“ დაცვის ბურჯია

ინგლისი

ჩემპიონატის მიმოხილვა

ირაკლი გამყრელიძე

გმირი და ჩემპიონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ მთავრდება პრემიერლიგა? რა თქმა უნდა, „მანჩესტერ იუნაიტედის“ მოლხენით

„ჩელსის“ თეთრწვერა, ახირებულმა თავმჯდომარემ კენ ბეიტსმა თქვა: „ჩვენ უცხოელებს ვიწვევდით და მოვიწვევთ, ვინაიდან იმ დონის ფეხბურთელები, ჩვენ რომ გვჭირდება, ინგლისს და ბრიტანეთს არ ჰყავს“.

ამ განცხადების უკან ის ამბავი თუ დგას, რომ ჰოლანდიელი ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი წლევანდელი პრემიერლიგის მთავარი მეგოლე შეიქნა. ოღონდ, ერთი აუცილებელი განმარტებით — გოლების 90 პროცენტი მან საშინაო თამაშებში გაიტანა. „ჩელსიმ“ უცხოელი უცხოელით შეცვალა სხვა შემთხვევაშიც — იტალიელი ვიალის ნაცვლად, იტალიელი რანიერი დანიშნა მენეჯერად და ჩემპიონატში მეექვსე ადგილი დაიკავა. გუნდის საერთო მდგომარეობის ფონზე ეს წარმატებული ადგილია, თუმცა, წლევანდელ პრემიერლიგაზე ლაპარაკისას „ჩელსის“ ამბავი სულაც არ არის მთავარი.

წლევანდელი პრემიერლიგა ისე აეწყო, რომ მწვრთნელ-მენეჯერთა მისვლა-მოსვლა ჩვეულებრივ ამბად იქცა. რანიერის მისვლა „ჩელსში“, ჯიმ ჯეფრისისა „ბრედფორდში“, ტერი ვენეიბლზისა „მიდლსბროში“ იმას გულისხმობდა, რომ გუნდები დასახულ ამოცანებს ვერ ასრულებდნენ. დამხმარე ძალების შემოკრებაც გვარიანად ხშირი იყო ამ სეზონში: „ლიდსის“ თავკაც დევიდ ოლირის გამოცდილი ბრაიან კიდი დაუდგა თანამენეჯერად, ვენეიბლზი რაიან რობსონს ამოუდგა მხარში, კოლინ ტოდი კი „დერბის“ მხცოვან მეთაურ ჯიმ სმიტს, სეზონი არ დაამთავრა გუნდში „ტოტენჰემზე“ გულაცრუებულმა ჯორჯ გრემმა, რის გამოც „საუთჰემპტონი“ უმწვრთნელოდ დარჩა, გლენ ჰოდლმა კი ახალი სამსახური იშოვნა. უკვე სეზონის შემდეგ დაითხოვეს „სიტის“ მენეჯერი ჯო როილი და „ვესტ ჰემის“ მესაჭე ჰარი რედნაპი.

საერთოდ კი, თუ უცხოელებზე მიდგა საქმე, კონტინენტიდან ოცგუნდიან პრემიერლიგაში სამად-სამი მწვრთნელი მუშაობს: ერთი ნახსენები იტალიელი და ორიც ფრანგი — არსენ ვენგერი და ჟერარ ულიე. ერთადერთი ირლანდიელი მწვრთნელი დევიდ ოლირია, ხოლო ხუთ შოტლანდიელს შორის ორს, ჯეფრისისა და გორდონ სტრაჩანს გუნდები დაბალ ლიგაში გაუვარდათ. გრემი გადააყენეს, უოლტერ სმიტის „ევერტონი“ გადარჩა, ალექს ფერგიუსონი კი კიდევ ერთხელ გახდა ინგლისის ჩემპიონი.

დანარჩენი თერთმეტი მწვრთნელი ინგლისელია. ინგლისელი მწვრთნელის მიერ გაწვრთნილი გუნდისთვის ამ სეზონში უმაღლესი საფეხური მეხუთე იყო: ჯორჯ ბარლის წელსვე გადმოსული „იფსვიჩი“ სეზონის აღმოჩენად იქცა.

მწვრთნელ-მენეჯერებზე ამდენი იმიტომ ვილაპარაკეთ, რომ წლევანდელ პრემიერლიგაში მათზე ბევრი ჯოხი გადატყდა და პრინციპში, სეზონის მთავარი გმირებიც ესენი იყვნენ. აქ იმის თქმა შეიძლება, რომ ინგლისში წლეულს კიდევ უფრო ჩამოიქნა საშუალო გუნდების იერი და ამ საშუალო გუნდების დონემ კიდევ უფრო აიწია. არცთუ მდიდარ კლუბებს, რა თქმა უნდა, უჭირთ ზვიგენებთან ჭიდილი, მაგრამ რომ დავაკვირდეთ, თუ როგორ ეთამაშნენ ლიდერებს იგივ „იფსვიჩი“, „ჩარლტონი“, „საუთჰემპტონი“ და „სანდერლენდი“ ვნახავთ, რომ ფეხბურთის დონე იქ განუხრელად იზრდება. ამ გუნდებში ბევრი უცხოელია, მაგრამ ვარსკვლავი არ არის. ფინანსური შესაძლებლობებიც გვარიანად შეზღუდულია და ვთქვათ, „ვესტ ჰემში“, ვარსკვლავთა ნამდვილ სამჭედლოში ეგრეც არ ხერხდება პრეტენზიული გუნდის ჩამოყალიბება. ანდა „საუთჰემპტონში“, რომელსაც ორი თვის განმავლობაში გოლი არ გაუშვია.

წლევანდელი ჩემპიონატი არ დაწყებულა ხმაურიანი ტრანსფერებით. ყველაზე დიდი ამბავი ფაბიენ ბარტეზის „ოლდ ტრეფორდზე“ გადაბარგება იყო. წლეულს დიდ კლუბებს ბევრი (და დიდი) არავინ უყიდიათ, მხოლოდ წლის ბოლოს გახმაურდა რუუდ ვან ნისტელროის „მანჩესტერში“ გადასვლის ამბავი და ის, რომ სოლ კემბელი ბოსმანის წესით მიდის „ტოტენჰემიდან“. ვიღაცეები წავიდნენ, ვიღაცეები მოვიდნენ, მენეჯერები კი თითქოს გაკვალულ გზას მიუყვებოდნენ. ამ ვიღაცეების წასვლამ დაღუპა „ქოვენთრი“, ერთი მშვენიერი პატარა კლუბი. „ქოვენთრი“, რობი კინს და თავისუფალ გარი მაკალისტერს შეელია, რომელთაგან ერთმა „ლიდსის“ გამოღვიძებაში მიიღო მონაწილეობა „ინტერში“ უსარგებლო მოგზაურობის შემდეგ, მეორე კი ამ გაზაფხულის გმირი შეიქნა „ლივერპულთან“ ერთად. „ქოვენთრის“ გაგდებაში გოლით დაიდო წილი. „ქოვენთრიში“ მათი შემცვლელი ვერ ნახეს. „ბრედფორდი“ კი უკვე გავარდნილი შეელია თავის ლიდერს, დინ ვინდასს, რომელიც გადარჩენილ „მიდლსბროში“ გადაბარგდა. „სიტის“ ვერაფერში დაეხმარა ჯორჯ ვეა, „ევერტონს“ პოლ გესქოინი. პრემიერლიგის კიდევ ერთ მახასიათებლად კი ამ სეზონში ტრავმების ეპიდემია იქცა.

ტრავმამ საერთოდაც ააღებინა თამაშზე ხელი საუცხოო ბელგიელ ფეხბურთელ ლუკ ნილისს, რომელმაც „ასტონ ვილაში“ დაიწყო სეზონი. ტრავმების ეპიდემიამ სეზონის პირველ ნახევარში წააქცია „ლიდსი“, ფეხბურთელების გაყიდვას დამთხვეულმა ეპიდემიამ კი კოხტა „ლესტერის“ მოედანზე გამოსვლა უაზრო გახადა სეზონის მეორე ნახევარში. „ლიდსმა“ გამოიღვიძა და ცხრილის ქვემოწელიდან მეოთხე ადგილამდე ამოაღწია, ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალს უწია და სწორედ ამ ნახევარფინალის საპასუხო მატჩის წინ დამარცხდა „არსენალთან“, რითაც დაკარგა კიდეც საგაისო ლიგის საგზური. ტრავმებით, სასამართლოებით და არაადამიანური დატვირთვით დამძიმებულმა „ლიდსმა“, რაც გაიტანა, კვლავდაკვლავ თავისი ახალგაზრდული სულით და ნიჭით.

გასრულებული პრემიერლიგის ცხრილს რომ გადახედავ, ძალაუნებურად წამოგცდება: „ახალი არაფერი“. იგივე „ლიდსთან“ მიმართებაში შეიძლება ითქვას, რომ გუნდში რაიმე თვისობრივი ცვლილება არ მომხდარა, ეს არის, რომ იორკშირელებმა დიდი ევროპული გამოცდილება მიიღეს და კონტინენტზეც სახელი დაიგდეს. ასევე არაფერია ახალი მეორადგილოსან „არსენალში“, ტიერი ანრის ბრწყინვალე გოლების მიუხედავად, გუნდმა ყველა ფრონტზე წაგო გადამწყვეტი ბრძოლები.

აი, „ლივერპულმა“ კი ყველა ფრონტზე მოიგო გადამწყვეტი ბრძოლები. საერთოდ, ეს გუნდი სეზონის ნამდვილი გმირია. წლევანდელი გაზაფხული „ლივერპულისაა“ და ალბათ, მაიკლ ოუენი, რობი ფაულერი, სემი ჰიიპია და გარი მაკალისტერი სეზონის საუკეთესო ოთხეულად ჩაითვლება, რომ აღარაფერი ვთქვათ სტივენ ჯერარდზე, რომელიც, ჩემი აზრით წლის ფეხბურთელია. და მაინც, „ლივერპულს“ ჰქონდა ერთი ნაკლი — მისი სტრატეგია გზადაგზა იკვეთებოდა. ჩვენთვის საიდუმლოდ დარჩება, რას უმიზნებდა ჟერარ ულიე სეზონის დასაწყისში და რა მოიგო. არსენ ვენგერი ჩემპიონობას უმიზნებდა და დამარცხდა. და ულიე უმიზნებდა ჩემპიონობას?

„ახალი არაფერი“, ტიტულიც კი ძველია. ჩემპიონობას კვლავ უმიზნებდა „მანჩესტერი“. ფერგიუსონს ჰქონდა პრემიერლიგის მოგების სტრატეგია. მან ექვსი ტურით ადრე მოიგო ტიტული გუნდით, რომელმაც ევროპაში ვერაფრით გამოიჩინა თავი და მდევრებთანაც არ ჰქონია დიდად წარმატებული შეხვედრები (ორივე თამაში წააგო „ლივერპულთან“ და გოლი ვერ გაიტანა; „ტრადიციულად“ წააგო „არსენალთან“ და მერე 6:1 მოუგო, „ლიდსთან“ კი შინ მოგების შემდეგ გასვლაზე ფრეს მიაღწია). სამ უახლოეს კონკურენტთან ექვს შეხვედრაში „მანჩესტერმა“ 10 ქულა დაკარგა და აიღო მხოლოდ შვიდი. მაგრამ ვერავინ დათვლის რამდენი ქულა დაკარგეს კონკურენტებმა უკვე ნახსენებ საშუალო გუნდებთან შეხვედრებში. ანუ, სატურნირო მზადყოფნა „მანჩესტერისა“ შეუდარებლად დიდი და უკეთესი იყო. ამ გუნდმა უბრალოდ იცოდა, როგორ უნდა გახდე ჩემპიონი. ამ გუნდის მოქნილი ტაქტიკა ლამის შანსს არ უტოვებს საშუალო გუნდებს, თორემ ვარსკვლავები კონკურენტებსაც ჰყავთ. წააგო „ლივერპულთან“ ორი თამაში და ექვსი ტურით ადრე გაინადდო ჩემპიონობა — ამას ხომ მოფიქრება უნდა.

მაშ, ჩემპიონი „მანჩესტერია“, გმირი კი „ლივერპული“. სეზონის ფეხბურთელად ტედი შერინგემი აღიარეს, რომელიც თხუთმეტი წლით უფროსია სტივენ ჯერარდზე. შერინგემი იმ ყაიდის ფეხბურთელია, წლები რომ ვერაფერს აკლებენ. ის დიდი ფეხბურთელია. ჯერარდი კი წლეულს იყო ბრწყინვალე, მისკენაც ამიტომ ვიხრებით. ხოლო, თუ სამეულის შედგენაზე მიდგა საქმე, ამათ გვერდით მარკ ვიდუკას დავაყენებდით. ის რაღაცით ჰგავს პრებენ ელკიაერს და უბრალოდ სასიამოვნოა, როცა მხარბეჭიანი კაცი ვირტუოზულად ათამაშებს ბურთს.

სხვა მხრივ კი იფსვიჩი პატარა ქალაქია, იქ ბიჭები თამაშობენ ფეხბურთს, იმ ბიჭებს არავინ იცნობდა წლევანდლამდე და თუ „ჩელსიმ“ 4:1 მოუგო „იფსვიჩს“, კენ ბეიტსს არ უნდა ეგონოს, რომ გოლების გატანა მხოლოდ ჯიმის შეუძლია და არა მარკუს სტიუარტს. საქმე ის არის, რომ „იფსვიჩი“ მეხუთე ადგილზე გავიდა მსოფლიოს ყველაზე ქარბორბალა ჩემპიონატში, „ჩელსი“ კი მას ხუთი ქულით ჩამორჩა და მეექვსეზე დარჩა.

ასეა, ჩემპიონატი სტრატეგიაა.

მენეჯერები კი ნაღდად იყვნენ ამ სეზონის გმირები — ულიეც, ბარლიც და სტრაჩანიც კი.

ინგლისის პრემიერლიგის სტატისტიკა

ბომბარდირები		გოლი/მატჩი
ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი	ჩელსი	23 /35
მარკუს სტიუარტი	იფსვიჩი	19/34
მარკ ვიდუკა	ლიდსი	17/34
ტიერი ანრი	არსენალი	17/31
მაიკლ ოუენი	ლივერპული	16/26
ტედი შერინგემი	მანჩესტერი	15/28
ემილ ჰესკი	ლივერპული	14/35
კევინ ფილიპსი	სანდერლენდი	14/34

ანბარიშის გამხსნელები		გოლი/მატჩი
(ანუ ისინი, ვისაც ყველაზე ხშირად გაჰქონდათ პირველი გოლი)		
მარკუს სტიუარტი	იფსვიჩი	11/34
ჯეიმს ბიტი	საუთჰემპტონი	9/37
გუსტავო პოიეტი	ჩელსი	8/26
ლი ბოიერი	ლიდსი	7/38
დუაიტ იორკი	მანჩესტერი	6/20
დევიდ ბექემი	მანჩესტერი	6/31
ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი	ჩელსი	6/35
პაოლო დი კანიო	ვესტ ჰემი	6/31
ლი ჰენდრი	ასტონ ვილა	6/30

ყველაზე უსუფლები		
(გაფრთხილება 1 ქულა, გაძევება — 2)		
გაფრთხილება/გაძევება/ქულა		
დენი ტიატო	მანჩესტერ სიტი	9/2/13
ალფაი ოზალანი	ასტონ ვილა	13/0/13
ოლივიე დაკური	ლიდსი	12/0/12
გარი ტაგარტი	ლესტერ	9/1/11
ჯონ იუსტასი	ქოვენთრი	11/0/11
სეტ ჯონსონი	დერბი ქაუნთი	9/1/11
დონ ჰათჩისონი	ევერტონი	9/1/11
დინ უინდასი	ბრედფორდი	10/0/10
დევიდ ტომპსონი	ქოვენთრი	8/1/10
გარი სპიდი	ნიუკასლი	8/1/10

უცხოელ მოთამაშეთა პროცენტი პრემიერლიგაში — 38

„ჩელსის“ უცხოელთა რაოდენობა — 21

უცხოელთა პროცენტი „არსენალის“ გატანილ გოლებში — 83

პრემიერლიგის მოთამაშეთა საშუალო ასაკი — 27

პირდაპირ საჯარიმო გოლების რაოდენობა — 37

ყველაზე ხშირად თამაშგარეში აღმოჩნდა ტიერი ანრი (არსენალი) — 75

უკლებლივ ყველა, 38-ივე მატჩი შეუცვლელად ითამაშა — უეინ ბრიჯი (საუთჰემპტონი)

№	გუნდი	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1	მანჩესტერი	XX	6:1	0:1	3:0	2:0	3:3	3:0	2:0	2:1	5:0	2:0	2:0	2:0	2:1	3:1	1:0	0:1	1:1	4:2	6:0	38	24	8	6	79:31	80
2	არსენალი	1:0	XX	2:0	2:1	1:0	1:1	2:2	1:0	5:3	1:0	5:0	2:0	6:1	0:3	3:0	4:1	0:0	5:0	2:1	2:0	38	20	10	8	63:38	70
3	ლივერპული	2:0	4:0	XX	1:2	0:1	2:2	1:1	3:1	3:0	2:1	3:0	3:1	1:0	0:0	3:0	3:1	1:1	3:2	4:1	1:0	38	20	9	9	71:39	69
4	ლიდსი	1:1	1:0	4:3	XX	1:2	2:0	2:0	1:2	3:1	2:0	1:3	4:3	3:1	1:1	0:1	2:0	0:0	1:2	1:0	6:1	38	20	8	10	64:43	68
5	იფსვიჩი	1:1	1:1	1:1	1:2	XX	2:2	1:0	1:2	2:0	3:1	1:0	3:0	2:0	2:1	1:1	2:0	0:1	2:1	2:0	3:1	38	20	6	12	57:42	66
6	ჩელსი	1:1	2:2	3:0	1:1	4:1	XX	2:4	1:0	0:1	1:0	3:1	3:0	0:2	2:1	4:2	2:1	4:1	2:1	6:1	3:0	38	17	10	11	68:45	61
7	სანდერლენდი	0:1	1:0	1:1	0:2	4:1	1:0	XX	1:1	3:2	2:2	1:1	2:3	0:0	1:0	1:1	2:0	2:1	1:0	1:0	0:0	38	15	12	11	46:41	57
8	ასტონ ვილა	0:1	0:0	0:3	1:2	2:1	1:1	0:0	XX	2:1	0:0	1:1	2:0	2:1	1:1	2:2	2:1	4:1	2:2	3:2	2:0	38	13	15	10	46:43	54
9	ჩარლტონი	3:3	1:0	0:4	1:2	2:1	2:0	0:1	3:3	XX	1:1	2:0	1:0	2:0	1:0	1:1	1:0	2:1	4:0	2:2	2:0	38	14	10	14	50:57	52
10	საუთჰემპტონი	2:1	3:2	3:3	1:0	0:3	3:2	0:1	2:0	0:0	XX	2:0	2:0	1:0	1:3	2:3	1:0	1:0	0:2	1:2	2:0	38	14	10	14	40:48	52
11	ნიუკასლი	1:1	0:0	2:1	2:1	2:1	0:0	1:2	3:0	0:1	1:1	XX	2:0	1:0	1:2	2:1	0:1	3:2	0:1	3:1	2:1	38	14	9	15	44:50	51
12	ტოტენჰემი	3:1	1:1	2:1	1:2	3:1	0:3	2:1	0:0	0:0	0:0	4:2	XX	3:0	0:0	1:0	3:2	3:1	0:0	3:0	2:1	38	13	10	15	47:54	49
13	ლესტერი	0:3	0:0	2:0	3:1	2:1	2:1	2:0	0:0	3:1	1:0	1:1	4:2	XX	0:3	2:1	1:1	2:1	1:2	1:3	1:2	38	14	6	18	39:51	48
14	მიდლსბრო	0:2	0:1	1:0	1:2	1:2	1:0	0:0	1:1	0:0	0:1	1:3	1:1	0:3	XX	2:1	1:2	4:0	1:1	1:1	2:2	38	9	15	14	44:44	42
15	ვესტ ჰემი	2:2	1:2	1:1	0:2	0:1	0:2	0:2	1:1	5:0	3:0	1:0	0:0	0:1	1:0	XX	0:2	3:1	4:1	1:1	1:1	38	10	12	16	45:50	42
16	ევერტონი	1:3	2:0	2:3	2:2	0:3	2:1	2:2	0:1	3:0	1:1	1:1	0:0	2:1	2:2	1:1	XX	2:2	3:1	1:2	2:1	38	11	9	18	45:59	42
17	დერბი	0:3	1:2	0:4	1:1	1:1	0:4	1:0	1:0	2:2	2:2	2:0	2:1	2:0	3:3	0:0	1:0	XX	1:1	1:0	2:0	38	10	12	16	37:59	42
18	მანჩესტერ სიტი	0:1	0:4	1:1	0:4	2:3	1:2	4:2	1:3	1:4	0:1	0:1	0:1	0:1	1:1	1:0	5:0	0:0	XX	1:2	2:0	38	8	10	20	41:65	34
19	ქოვენთრი	1:2	0:1	0:2	0:0	0:1	0:0	1:0	1:1	2:2	1:1	0:2	2:1	1:0	1:3	0:3	1:3	2:0	1:1	XX	0:0	38	8	10	20	36:63	34
20	ბრედფორდი	0:3	1:1	0:2	1:1	0:2	2:0	1:4	0:3	2:0	0:1	2:2	3:3	0:0	1:1	1:2	0:1	2:0	2:2	2:1	XX	38	5	11	22	30:70	26

არა, ჩემია! მარჩელოს გამო

ბარსელონა და ვალენსია ლიგისთვის და ლიპისთვის იბრძვიან

„ბარსელონა" და „ვალენსია" პრიმერადივიზიონის ბოლო ტურში ეჯახებიან ერთმანეთს. ეს მოედანზე, მის გარეთ კი ბრძოლა კარგა ხნის წინ დაიწყო. გავიხსენოთ, რომ „ბარსამ" „ვალენსიას" მწვრთნელის წართმევა დაუპირა, „ვალენსია" კი არ თმობს.

აი, ახალი ცნობაც: „ბარსელონა" და „ვალენსია" მწვრთნელისთვის ბრძოლას აგრძელებენ, ოღონდ ეს მწვრთნელი მარჩელო ლიპია.



მარჩელო ლიპი

უცნაური რაღაც გამოდის. აქამდე ვიცოდით, რომ კატალონიელებს მოლაპარაკება ჰქონდათ არსენ ვენგერთან, ფაბიო კაპელოსთან, კარლოს ბიანკისთან, უპირველესად კი ექტორ რაულ კუპერთან, „ვალენსია", თავის მხრივ, ხოსე მანუელ ესნალ პარდოს შეეხმიანა და თან კუპერთან კონტრაქტის გაგრძელებას ცდილობდა. ისიც ვიცოდით, რომ „ბარსელონას" ვენგერმა და კაპელომ უარი შეუთვალეს, მანემ „ვალენსიაში" გადასვლას „ალავესში" დარჩენა ამჯობინა. ხოლო კუპერს „მესტალიაზე" მეტად „კამპ ნოუ" იზიდავდა. და რა შუაშია აქ მარჩელო ლიპი?

საქმე ის გახლავთ, რომ ესპანურ კლუბთა საჯაროდ გაცხადებული ჭიდილის პარალელურად ექტორ კუპერის გარშემო ქსელი მოუქსოვია მილანის „ინტერს" და გავრცელებულ ხმებს თუ ვენდობით, არგენტინელი მწვრთნელი მომავალი სეზონიდან „სან სიროზე" დაიდებს ბინას. შევნიშნოთ, რომ „ინტერს" თამაში არ უვარგა, თორემ ფული ბლომად აქვს და რომელიც გინდა მწვრთნელის თუ ფეხბურთელის ცდუნება არ უნდა გაუჭირდეს.

სწორედ კუპერის „ინტერში" წასვლას უკავშირდება „ვალენსიასა" და „ბარსელონას" ახალი სამიზნის — ძველი ინტერელის, მარჩელო ლიპის სახელის ამოტივტივება.

თუმცა საქმე სატელეფონო საუბარს ჯერ არ გასცილებია. ლიპის ამ კვირაში უნდა ჰქონდეს შეხვედრა კატალონიელთა ემისრებთან და ვფიქრობთ, ვალენსიელებსაც პირისპირ ამ დღეებში გაესაუბრება.

სხვათა შორის, ბარსელონაში მყოფმა ფაბიო კაპელომ არ დაიზარა და ერთხელაც დაადასტურა, „ბარსაში" გადამსვლელი არ ვარო. თუმცა იტალიელმა ამჯერად უარის მიზეზებზეც ილაპარაკა, რაც აქამდე არ გაუკეთებია. „ესპანეთიდან კარგა ხნის წინ შემეხმიანნენ და ლორენს სერა ფერერის შეცვლა შემომთავაზეს — უთხრა კაპელომ ესპანელ ჟურნალისტებს — უარი ვუთხარი, რადგან გუნდში ძირეული ცვლილებებია მოსახდენი და მხოლოდ ერთი მწვრთნელის მეორით შეცვლა შედეგს არ მოიტანს. არადა, „ბარსელონას" ხელმძღვანელობა მხოლოდ ამას აპირებდა და ჩემეული მოსაზრებები არ გაიზიარა".

სანამ „ბარსელონა" და „ვალენსია" ერთმანეთს მწვრთნელს ეცილებიან, ამ გუნდებიდან ფეხბურთელთა გადინება იწყება.

გაისკა მენდიეტათი „მილანის" დაინტერესებაზე ადრეც გვითქვამს. ახალი ისაა, რომ „ვალენსიას" ხელმძღვანელები, მანუელ ლიორენტე და პედრო კორტესი „მილანის" წარგზავნილ ერნესტო ბრონკეტის შეხვდნენ და უთხრეს, მენდიეტა არ იყიდებაო და მისი წაყვანის გზაც ასწავლეს — კონტრაქტის გაწყვეტისთვის ჯარიმის გადახდა. გავიხსენოთ, რომ გასულ ზაფხულს სწორედ ამ მეთოდით წაჰგვარა „რეალმა" „ბარსელონას" ლუიშ ფიგუ.

გონივრულად იქცევა „ვალენსია". რომ თქვას, ვყიდიო, ვაჭრობა დაიწყება. ასე კი სავსებით მარტივადაა ნათქვამი — სამოცი მილიონი და არც ერთი ცენტით ნაკლები, ამდენი ღირს მენდიეტას კონტრაქტის გამოსყიდვა.

ვალენსიელებმა მილანელს ისიც უთხრეს, ახლა თუ ვერ შევთანხმდით და ოდესმე მისი გაყიდვა გადავწყვიტეთ, ამას პირველები თქვენ გაიგებთო.

ივან დე ლა პენიას კი არავინ ეპატიჟება, თავად თქვა, „ბარსელონაში" დამრჩენი არ ვარ, ისევ „ლაციოში" დავბრუნდებიო. შეგახსენებთ, რომ ეს ფეხბურთელი ბარსელონელებმა ამ სეზონის წინ ინათხოვრეს რომაელებისგან.

„როცა „ლაციოს" ჩემზე ელაპარაკებოდნენ, ვთხოვე, თუ სათადარიგოთა სკამზე მპირებთ დასმას, ნუ წამიყვანთმეთქი — ამბობს დე ლა პენია — დამპირდნენ და სიტყვა არ შეასრულეს. ამ სეზონში, ფაქტობრივად, არც მომცემია თავის გამოჩენის საშუალება".

ივან დე ლა პენია „ბარსელონაში" პირველად ექვსი წლის წინ გამოჩნდა, იოჰან კრუიფის მწვრთნელობისას და მაშინვე კატალონიელ ქომაგთა ერთ-ერთ საყვარელ ფეხბურთელად იქცა. მაგრამ კრუიფი წავიდა და ისიც მეტ დროს სათადარიგოთა შორის ატარებდა.

როგორც ამბობენ, სეზონის წინ ხუან გასპარის დე ლა პენიათი დაინტერესებას არასაფეხბურთო მიზეზი ჰქონდა. „ბარსელონამ" ფიგუ ვერ შეინარჩუნა და გულშემატკივრები ამის გამო კლუბს გვარიანად შემოსწყრნენ. ახალარჩეულმა პრეზიდენტმა ხუან გასპარმა კი ფანთა გულების მოგება მათი ძველი კერპის მოყვანით სცადა.

საინტერესოა, რომ სეზონის დაწყებამდე „ბარსელონამ" ივან დე ლა პენიას გარდა მარკ ოვერმარსი, ემანუილ პეტი, ხერარდ ლოპესი და ალფონსო იყიდა, რაც საერთო ჯამში 75 მილიონი დოლარი დაუჯდა, მაგრამ ამათგან სასტარტო შემადგენლობაში მხოლოდ მარკ ოვერმარსი ხვდება.

ნეტავ, რა ბედი ეწევა ხუან რამონ რიკელმეს „ბარსელონაში", ითამაშებს თუ სკამს გახეხავს? საქმე ის გახლავთ, რომ არგენტინელის თითქმის გაფორმებული კონტრაქტი, ბოლოწამს რომ ჩაიშალა, სინამდვილეში არ ჩაშლილა.

ორი კვირის წინ „ბოკა ხუნიორსის" ფინანსურმა დირექტორმა ორლანდო სალვეს ტრინიმ განაცხადა, „ბარსელონამ" კონტრაქტის მომზადებას თავი ვერ მოაბა და იძულებულნი ვართ, წინასწარი შეთანხმება გაუქმებულად მივიჩნიოთო. ამაზე კატალონიელთა პრესმდივანმა ასეთი კომენტარი გააკეთა: „ერთადერთი საკითხილა იყო შესათანხმებელი — ფეხბურთელის გადმოსვლის კონკრეტული თარიღი, თორემ სხვა ყველაფერი დიდი ხნის მოგვარებული იყო".

ვფიქრობთ, არგენტინულმა კლუბმა იეშმაკა და შეთანხმების ჩაშლის გამოცხადებით რიკელმეს ფასი ასწია. ადრე გამოცხადებული ოცდაორი მილიონი დოლარის ნაცვლად არგენტინელი ვარსკვლავი ოცდაათ მილიონად შეაფასა.

გუშინ ფეხბურთელის აგენტმა მარკოს ფრანკიმ განაცხადა, რომ რიკელმეს „ბარსელონაში" გადასვლას წინ აღარაფერი უდგას, რაკი კონტრაქტის არც ერთი პუნქტი საკამათო აღარაა.

გიორგი დარჯანია

ივან დე ლა პენია

EL FENOMENO აქაც პირველია

წლევანდელ ჩემპიონთა ლიგაში რაულმა ყველაზე მეტი — 7 გოლი გაიტანა. სულ კი ამ ტურნირში 28-ჯერ დაუსჯია მოწინააღმდეგე და ამ მაჩვენებლითაც ევროპაში საუკეთესოა. არადა, ჯერ მხოლოდ 24 წლისაა და თუ ასე გააგრძელა, ალბათ დიდი წინაპრის, ალფრედო დი სტეფანოს რეკორდსაც დაამხობს, რომელსაც ჩემპიონთა თასის გათამაშებებში 49 გოლი გაუტანია.

წლეულს რაულს თითო გოლით ჩამორჩნენ გალათასარაელი ჟარდელი, ბაიერნელი ელბერი, ლიდსელი ბოიერი და თანაგუნდელი ელგერა.

თუ ლიგის მთლიან ისტორიას გადავხედავთ, აქაც რაულს 25 გოლით ჟარდელი მიჰყვება. ამათ ორივეს ლიგაში 5-5 სეზონი გაუმართავთ. მესამე-მეხუთენი კი 20-20 გოლით იუვენტუსელი დელ პიერო, მონაკოელი სიმონე და მილანელი შევჩენკო არიან.

ერთი სიტყვით, რაული საუკეთესოა, „რეალმა" კი ევროპის თასი „ბაიერნს" გადაულოცა. მიუხედავად ამისა, მთავარი მეგოლე იმედიანადაა: „რას იზამ, ყოველთვის ყველაფრის მოგება შეუძლებელია. მე მაინც მგონია, რომ „რეალი" მსოფლიოს საუკეთესო გუნდია. ვოცნებობ, კარიერა მადრიდში ჩავამთავრო და ბევრი გოლი გავიტანო" — ამბობს რაული.

დღეს რაული მადრიდელ ქომაგთა კერპია. თავის დროზე კი ვერც წარმოიდგენდა, თუ ფეხბურთელი გახდებოდა. მადრიდის სამხრეთ გარეუბან სან კრისტობალ დე ლოს ანხელესში დაიბადა. მამამისი „ატლეტიკოს" გულშემატკივარი იყო, ხოლო უფროსი ძმის — თურმე გაკვეთილების ლამე მომზადება უყვარდა და პატარა რაულიტოს შუა ღამემდე არ აძინებდა. იცით რა იყო რაულის პირველი ოცნება? როცა გავიზრდები, სახლს ვიყიდი და სინათლეს მაშინ ავანთებ-ჩავაქრობ, როცა მომინდებაო...

„სანტიაგო ბერნაბეუზე" პირველად შვიდი წლისა მიიყვანეს და მას შემდეგ „რეალით" დაავადდა. „მაშინ ვერც კი ვიოცნებებდი, რომ ოდესმე ამ სტადიონზე დიდ ფეხბურთს ვითამაშებდი. დღესაც კი „ბერნაბეუს" მინდორზე გასვლისას გული მიფანცქალებს" — ამბობს რაული.

17 წლისამ პირველად ითამაშა „რეალის" ძირითადში, ხოლო ოცდაორისამ ქვეყნის ჩემპიონატში მეასე გოლი გაიტანა. მართლაც ფანტასტიკური შედეგია. ბუცები, რომლითაც გონსალეს ბლანკომ მეასე ბურთი შეაგდო, „სამეფო კლუბის" მუზეუმში ინახება. ასეთ ახალგაზრდა ასაკში გუნდის არც ერთ ფეხბურთელს არ რგებია მსგავსი პატივი. ტყუილად კი არ შეარქვეს El Fenomeno.

ლიგა ლიგად, მაგრამ „რეალი" უტიტულოდ არც წლეულს დარჩა. გასულ შაბათს უეფას თასის ფინალისტ „ალავესს" 5:0 მოუგო (ორი რაულმა გაიტანა) და პრიმერადივიზიონის გასრულებამდე ორი ტურით ადრე ესპანეთის ჩემპიონი გახდა. რაული 22 გოლით ბომბარდირთა დავაშიც პირველობს და გვპირდება, რომ თავს არც ლიგის მომავალ გათამაშებაში შეირცხვენს.

სოლომონ გულისაშვილი



რაულის შეჩერება იოლი საქმე როდია

ჩემპიონთა ლიგის ბომბარდირები 1992–2001

ფეხბურთელი	კლუბი	სეზონი	გოლი	სულ
რაული	რეალი (ესპანეთი)	5	28	28
მარიო ჟარდელი	პორტუ (პორტუგალია)	4	19	
	გალათასარაი (თურქეთი)	1	6	25
ალესანდრო დელ პიერო	იუვენტუსი (იტალია)	6	20	20
მარკო სიმონე	მილანი (იტალია)	4	11	
	პსჟ (საფრანგეთი)	1	3	
	მონაკო (საფრანგეთი)	1	6	20
ანდრეი შევჩენკო	დინამო (კიევი, უკრაინა)	3	14	
	მილანი (იტალია)	2	6	20
სერგეი რებროვი	დინამო (კიევი, უკრაინა)	4	19	19
რივალდო	ბარსელონა (ესპანეთი)	4	19	19
პატრიკ კლუივერტი	აიაქსი (ჰოლანდია)	3	9	
	ბარსელონა (ესპანეთი)	2	9	18
იარი ლიტმანენი	აიაქსი (ჰოლანდია)	4	18	18
ენდი კოული	მანჩესტერი (ინგლისი)	5	17	17

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონფედერაციის თასი

A ჯგუფი. I ტური

სამხრეთ კორეა 0:5 საფრანგეთი

0:1 მარლე (9), 0:2 ვიეირა (19), 0:3 მარლე (34), 0:4 ჯორკაეფი (80), 0:5 ვილტორდი (90)
სამხრეთ კორეა: ვოონ ლი, იონგ ჩოი, გუფ სონგი, იუნგ კიმი (იუ ჰა 76), სუნგ ლი, ბო ჰონგი, ჩულ იოო, ჰიო ლი (ჰონგ ჰვანგი 46), სუნგ პარკი, სუ კო (იეონ ანი 70), იეონ სეოლი
მწვრთნელი: გუს ჰიდინკი
საფრანგეთი: რამე, სანიოლი, დესაი, სილვესტრი, ლიზარაზუ, ვიეირა, კარიერი, პირესი (დაკური 84), მარლე (ვილტორდი 67), ანელკა, დიუგარი (ჯორკაეფი 74)
მწვრთნელი: როჟე ლემერი
მსაჯი: ჯამალ ალ ღანდური (ეგვიპტე)
61 500 მაყურებელი

ავსტრალია 2:0 მექსიკა

1:0 მერფი (18), 2:0 სკოკო (64)
ავსტრალია: შვარცერი, მუსკატი, ოკონი, ვიდმარი, პოპოვიჩი, სკოკო (ფოსი 70), ლაზარიდისი (ტომპსონი 78), ზდრილიჩი (ჩიპერფილდი 64), შ. მერფი, კორიცა, ზანე
მწვრთნელი: ფრენკ ფარინა
მექსიკა: ო. სანჩესი, სუარესი, ოტეო, დავინო, მ. რუისი (ოსორნო 48), როდრიგესი, აბუნდისი, ბორგეტი, პარდო, კოიოტე (ვიქტორინო 48), ვ. რუისი (რეიესი 64)
მწვრთნელი: მანუელ ლაპუენტე
3 000 მაყურებელი

ფრანგთა მწვრთნელი როჟე ლემერიც და ავსტრალიელთა თავკაცი ფრანკ ფარნაც თავიანთი მატჩების დასრულების მერე იმაზე ლაპარაკობდნენ, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ტურნირის გახსნის დღეს გამარჯვება. თუმცა ისიც სათქმელია, რომ ავსტრალიელი ფრანგ კოლეგაზე აღტაცებული ჩანდა.

გასაკვირი არცაა, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონთაგან, თუნდაც იმის გათვალისწინებით, რომ ზინედინ ზიდანის, ემანუილ პეტისა და დავიდ ტრეზეგეს გარეშე თამაშობდნენ, სამხრეთ კორეის დამარცხება ნაკლებ საამაყოა, ვიდრე ავსტრალიელთაგან კონფედერაციის თასის ამჟამინდელ მფლობელ მექსიკისა. და ეს მით უფრო, რომ ოზებს მარკ ვიდუკა და ჰარი კიუელი არ აჰყავდათ.

მაგრამ თუ გამარჯვების შთამბეჭდაობაზე ვილაპარაკებთ, ამაში საფრანგეთმა აშკარად აჯობა ავსტრალიას.

ხუთი უპასუხო გოლი კორეელთა კარში — ვფიქრობთ, ზედმეტია იმის აღნიშვნა, თუ ვისი კარნახით მიდიოდა თამაში. ფრანგებს მინიმუმ ერთი გოლის გატანა კიდევ შეეძლოთ, მაგრამ მიუნგ ბო ჰონგისგან ნიკოლა ანელკას წაქცევისთვის დანიშნული პენალტი კრისტოფ დუგარიმ გააფუჭა.

ხუთი გოლიდან კი განსაკუთრებით ლიონელი სტივ მარლესია აღსანიშნავი, რომელიც ისეთი ლამაზი გამოდგა, რომ მაყურებლებმა ტაშიც არ დაიშურეს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ტურნირი სამხრეთ კორეაში ტარდება და მაყურებლებიც, შესაბამისად, კორეელები იყვნენ, მათგან მათსავე კარში გატანილი ბურთით აღფრთოვანება სწორედ რომ სათქმელია. სტივ მარლე გასული ნოემბრის მერე ნაკრებში პირველად მიიწვიეს და მან დაბრუნება ასე აღნიშნა. რაც შეეხება ნამდვილ დებიუტანტებს, ფრანგებს ასეთი ორი ჰყავდათ: ნანტელი ერიკ კარიერი და ჩემპიონთა ლიგიდან კარგად ნაცნობი ლიდსელი ოლივიე დაკური.

ასევე აღსანიშნავია, რომ ფრანგებმა არცთუ დიდი ხნის წინ ამხანაგურ მატჩში იაპონიასაც 5:0 მოუგეს. ასე რომ, მომავალი მსოფლიოს ჩემპიონატის ორივე თანამასპინძელი გამწარებული ჰყავს.

ავსტრალიელთაგან მექსიკის ნაკრების ძლევა უფრო დამარცხებულთა შეცდომების ბრალია, ვიდრე გამარჯვებულთა ყოჩაღობისა. მექსიკური დაცვა ბლომად სცოდავდა და უბრალოდ, მეტოქეს უფლება არ ჰქონდა, არ დაესაჯა.

მექსიკის დაცვას კი ლიდერად ჰყავდა კაპიტანი კლაუდიო სუარესი, რომელიც ბევრს ეცადა, ეს მატჩი მისთვის კარგად დასამახსოვრებელი ყოფილიყო, მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვერაფერს გახდ. არადა, მექსიკელთა კაპიტანს ამის მიზეზი ნამდვილად ჰქონდა. საქმე ისაა, რომ სუარესს გუშინ 157 სანაკრებო მატჩი დაუგროვდა, რითაც რეკორდსმენ ეგვიპტელ ჰოსამ ჰასანს გაუტოლდა. იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ხვალ სუარესს მორიგი მატჩი ელის, ახალი რეკორდის მფლობელიც გახდება. ვინძლო, ხვალ მაინც ითამაშოს უკეთ.

გიორგი დარჯანია

საფრანგეთი — სამხრეთ კორეა. ბიჭსენტ ლიზარაზუ სუნგ ლის გადააფრინდა

Copa Toyota Libertadores '2001

ლიბერტადორესის თასი 2001

1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი

ამერიკა (კოლუმბია) 3:2 (პენ. 3:4) როსარიო სენტრალი (არგენტინა) (0:1)

1:0 ვასკესი (6), 2:0 ერერა (10), 3:0 ჟ. გონსალესი (69), 3:1, 3:2 პიცი (89, 90)
ამერიკა: ბარბატი, ჟ. გონსალესი (ფირვესკასი 82), ა. გარსია, ნავარო, მაზირი, ლ. გარსია, ვარგასი (უსაპატა 79), მაფლა (კარდონა 60), დ. ფერეირა, ვასკესი, ხ. ერერა
როსარიო სენტრალი: ტომბოლინი, მარა, დ. დიასი, ლოეშბორი, ეროსი (არიასი 66), ფაბიანესი, ე. გონსალესი (დე ბრუნო 77), კუბერასი, ლევი, მაკერატეზი (ვესპა 73), პიცი
35 000 მაყურებელი

ეს იყო რომში... VENI, VIDI, მონტელა!

დღეს დარაზმული რომაელები მარშით მიდიან, ისევე როგორც უხსოვარ დროში. ორი კვირის წინ, როდესაც „რომა" სამხრეთისკენ, 500 კილომეტრის იქით, ბარიში ჩავიდა, გუნდს 25 000 ქომაგი გაჰყვა, მასპინძლებს კი იმ დღეს, მხოლოდ 3 000 გულშემატკივარი უჭერდა მხარს. წინა კვირას, როდესაც „რომა" შინ, „მილანს" ეთამაშებოდა, ოფიციალური მონაცემებით სტადიონზე 75 000 მაყურებელი იჯდა. ვიჯექი მეც და ვუცქერდი, როგორ ლაშქრავდნენ სამხრეთ ტრიბუნის შესასვლელებს ქომაგთა ლეგიონები. ამის შემყურე ადამიანი, უთუოდ მიხვდებოდა თუ რა ტრიალებდა თვალით დანახულს მიღმა.

რომში საზოგადოებრივ ტრანსპორტს ნაკლებად ეტანებიან, ხალხი ძირითადად საკუთარი მანქანებით მოძრაობს და ამიტომაც გზები გადაჭედილია. სტადიონისაგან წასვლა ველოსიპედით იქნებოდა ყველაზე უპრიანი. ქარიანი დღე იდგა და გარშემო „რომას" დროშები ფრიალებდა. თამაშის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე, ტიბროსსა და სტადიონს შორის საკლუბო ატრიბუტებით აღჭურვილი უამრავი ტიფოზი მოძრაობდა. მანამდე, რამდენიმე დღით ადრე კი ბევრმა ბილეთის შოვნაში ღამეები ათენა.

ჰაერში რაღაც საგანგებო იგრძნობოდა. ნუთუ ეს მხოლოდ, მოპედების გამონაბოლქვი იყო?

ერთმა ტიფოზმა გვითხრა, ღამე სამჯერ გამეღვიძა, მეშინოდა სტადიონზე არ დამაგვიანდეს მეთქი. თამაში საღამოს ცხრის ნახევარზე უნდა დაწყებულიყო. შემდეგ მეორემ თქვა: „ამას 18 წელი ველოდით, მაგრამ..." თუმცა მალე მეგობარმა გააწყვეტინა და რაღაც ჟესტი გააკეთა, რომელიც აქ ილბლიანად ითვლება.

ეს გულშემატკივრები თავს ისტორიული მომენტის მიჯნაზე გრძნობდნენ. ხუმრობა ხომ არ არის, ისინი ამ სკუდეტოს, ისტორიაში მესამეს, 1983 წლიდან ელიან. ამდენი ხნის მანძილზე ხომ „რომას" ღირებული არაფერი მოუგია. წინა სეზონის ბოლო ამოსუნთქვისას „ლაციოს" მიერ ტიტულის მოგებაც მათთვის მეტისმეტად ძნელი გადასატანი გამოდგა. ბევრს მოთმინება აღარ ჰყოფნის: ორი კვირის წინ კაპიტანმა ფრანჩესკო ტოტიმ განაცხადა, რომ ჩემპიონობის აღსანიშნავად სხეულზე გლადიატორს ამოისვირინგებს.

„მილანთან" თამაშს კი პოტენციურად სკუდეტოს ბედის გადაწყვეტა შეეძლო — თუ „რომა" მოიგებდა, ხოლო „ლაციო" და „იუვე" ვერა, ტიტული მათი იქნებოდა. დამარცხება კი ბოლო ტურებში გაამწვავებულ ბრძოლას მოასწავებდა.

უშუალოდ მატჩის წინ სტადიონზე შთამბეჭდავი სურათი გამოიკვეთა — 75 ათასი გულშემატკივარი მაშხალებსა და უზარმაზარ დროშებს იქნევდა, ხოლო როდესაც შემადგენლობების გამოცხადება დაიწყეს, ტრიბუნები უბრალოდ დროშათა ზღვამ ჩაყლაპა. შემდეგ გაისმა სასტვენის ხმა და ოცდაორი კაცი ბურთის აქეთ-იქით გორებას შეუდგა.

პირველი 43 წუთი თითქოს „რომას" ტრაგედიას მოასწავებდა. უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ ფაბიო კაპელომ საუკეთესო ფორმაში მყოფი ვინჩენცო მონტელა სათადარიგოთა სკამზე დატოვა. შემდეგ უარესი მოხდა, თამაშის დაწყებიდან სამ წუთში გაირკვა, რომ მეზობელმა „ლაციომ" სტუმრად ანგარიში გახსნა და იმ მომენტისთვის „რომას" სამი ქულით წამოეწია, მაგრამ კიდევ უფრო უარესი ამბავი შესვენებამდე ორი წუთით ადრე დატრიალდა — მილანელმა კოკომ ბურთი კუთხურიდან „რომას" კარში შეაგდო.

0:1 — „ბიძაშვილები" უკვე ქულითღა ჩამორჩებოდნენ.

შესვენების შემდეგ მთელი სტადიონი იმ, იღბლიან ჟესტს აკეთებდა, ხოლო მონტელამ დელვეკიო შეცვალა. გავიდა 30 წუთი და ჩია ფორვარდი ჯუნტის გამოშვერილ ფეხს გადაახტა, სებასტიანო როსის სხეული უახლოვდებოდა, მონტელამ კი მას ბურთი გაშლილ ხელებზე გადაუგდო და შორეულ კუთხეში გაახვია.

ვინი, ვიდი, ვიჩენცო!

სულ მალე 500 კილომეტრის სიშორიდან მოვიდა ცნობა, რომელიც „რომას" მეპატრონის აზრით ულამაზესი გოლის ამბავს იტყობინებოდა — წამატებული წუთების მიწურულს „ინტერმა" „ლაციოს" გაუთანაბრა და მეზობლები ასევ ხუთი ქულით ჩამოარჩინა.

„ჩვენ უკვე ვიცით, რომ ტიტული არსად გაიქცევა" — განაცხადა ტოტიმ, რომელმაც „ლაციოს" გაშვებული გოლის ამბავი უკვე მოედნიდან გასულმა, შეცვლილმა შეიტყო.

„ჩემი გოლი შესანიშნავი იყო" — თქვა მონტელამ — „მაგრამ ჩემს გულისწყრომას ვერ უშველის. სათადარიგოთა სკამზე ჯდომა ყელში მაქვს ამოსული და მეტად ველარ ავიტან. კიდევ კარგი ეს სეზონი მთავრდება".

ამაზე კაპელომ განაცხადა: „აქ საქმე მონტელა არ არის, აქ საქმე „რომა" და მისი მატჩებია, რომელთა ერთ ნაწილს ერთი შემადგენლობა სჭირდება — მეორეს მეორე. გუნდი მეტია ვიდრე ფეხბურთელი."

მაგრამ, ალბათ, ეს ბატისტუტას არ ეხება. არგენტინელთა ბოლო სამ თვეში სამად სამი გოლი შეაგდო და მაინც ძირითადშია.

„ერთხელ და საბოლოოდ გავიგოთ, რომ ბატისტუტას მინდორზე თუნდაც მხოლოდ ყოფნა მეტოქისთვის უკვე ძლიერ ქარს ნიშნავს".

და სანამ „ოლიმპიკო" ცარიელია, ხოლო რომაულ ღამეს გამარჯვებულთა მანქანების ხმა აყრუებს, მონტელას მომავალი ცაში ჰკიდია. ხოლო „რომას" სამი ქულა სჭირდება. მათი ბოლო მეტოქეა „პარმა", რომელმაც გასულ კვირას ჩემპიონთა ლიგის საგზური გაინაღდა და ალბათ ბოლო ტურებს ზარზეიმით ჩაატარებს.

თუმცა მანამდე „რომას" „ნაპოლი" მასპინძლობს. სამხრეთელები ბოლო ოთხ გუნდს შორის არიან და გადასარჩენად ქულები სწყურიათ. და რომაელთათვის, ოფიციალურად, მხოლოდ 4 ათასი ბილეთია გამოყოფილი, თუმცა ამ კვირა საღამოს, „ოლიმპიკოს" მისადგომებთან გადამყიდველები ნეაპოლის მატარებლის ბილეთებით უკვე ვაჭრობდნენ. ეტყობა, ლეგიონები ერთხელაც დაირაზმებიან და მარშით წავლენ.

ჯეიმს რიჩარდსონი
„გარდიანი"

ვინჩენცო მონტელა

NANDROLONE

ჩვენი ძროხა სუფთაა!

ზეიმობენ ჰოლანდიელი ფერმერები

დავიდსმა და დე ბურმა იკითხონ

ფრანკ დე ბური

ჰოლანდიაში საფეხბურთო ვარსკვლავებისა და ფერმერების დაპირისპირება ამ უკანასკნელთა გამარჯვებით დამთავრდა. სამართალმა პური ჭამა და გაირკვა, რომ ტიტების ქვეყანაში მოსუქებულ-მოშენებული მსხვილფეხა რქოსანი არანაირ აკრძალული, არაკანონიერი საკვებით არ იკვებება. ჰოლანდიური ხაშლამა, კატლეტი თუ მწვადი არ შეიცავს კაცის ჯანმრთელობისთვის საშიშ ნივთიერებას.

გაიხარეს პატიოსანმა ფერმერებმა, მათი პროდუქტის პრესტიჟს მავანის ცილისმწამებლური ფანტაზია ვეღარ შებღალავს და თვით მტრის ბანაკში, ჰოლანდიის ეროვნულ ნაკრებშიც კვლავ დელიკატესური მენიუს ერთ-ერთი ნაწილი იქნება.

ჰოლანდიის ფეხბურთის ასოციაციამ ნაკრების წევრებს სულ ახლახან ჩატარებული გამოკვლევების შედეგ განუცხადა: „თქვენს რაციონში არაფერი შეიცვლება, ხორცი და აბები, რომლებსაც მირთმევდით და ყლაპავდით, ნანდროლონს არ შეიცავს“. ნარინჯისფერებმა გული დაიმშვიდეს, მხოლოდ ორი კაცი დარჩა დაბნეული და დაფეთებული. კაპიტან ფრანკ დე ბურსა და სათვალიან ედგარ დავიდსს ფერმერთა ტრიუმფი ფრიად ემწარათ. როგორც ვიცით, ისინი სისხლში ნანდროლონის მომეტებას სწორედ მესაქონლეთა ხრიკებს აბრალებდნენ — თითქოსდა ისინი პირუტყვს ნანდროლონით ჭყიპავდნენ. მართლმსაჯულებამ თვალებში ნაცარი არავის, თვით დე ბურსა და დავიდსაც არ შეაყრევინა და ორი დიდი ფეხბურთელი კარგა ხნით დისკვალიფიკაციისთვის გაიმეტა.

ედგარ დავიდსის მეორე, ტესტი B-ს ჩაგდების ამბავი უკვე მთელმა საფეხბურთო სამყარომ იცის. ტიტების ქვეყნის ნაკრების კაპიტანი კი გულისფანცქალით ელოდა განმეორებითი ტესტის შედეგებს. პირველადმა ანალიზმა ფრანკის სისხლში ლიტრში რვა მთელი ექვსი მეათედი მილიგრამი ნანდროლონი აღმოაჩინა. ეს დასაშვებ ნორმაზე ოთხჯერ მეტია. აი, დადგა ტესტი B-ს ჟამიც და დე ბურმაც დავიდსის ბედი გაიზიარა. „ბარსელონას“ პრესმდივანმა ოფიციალურად დაადასტურა დე ბურის დოპინგთან მეგობრობა.

დავიდსსა და დე ბურს ექვსი თვიდან ორ წლამდე დისკვალიფიკაცია ელოდებათ, თუმც საბოლოო განაჩენის გამოტანამდე მათ ჰოლანდიის ნაკრებში ეპატიჟებიან. ნაკრებს ესტონეთში ელის მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩი. ჯგუფში ჰოლანდიელებს საკმაოდ არასახარბიელო მდგომარეობა აქვს. ორი ვარსკვლავის, კაპიტნისა და ვიცე-კაპიტნის გამოკლება ნარინჯისფერებისთვის შეიძლება დამღუპველიც აღმოჩნდეს. დე ბურის მოწამლული სისხლის ანალიზის დეტალებზე საუბარი ჯერ საბოლოოდ არ დამთავრებულა. „ბარსელონას“ ნახევარმცველი, რაღა თქმა უნდა, ირწმუნება, რომ დოპინგი მისთვის უცხოა: „ვიცი, უდანაშაულო ვარ, რასაც მე ვიღებდი, ყველაფერი ლეგალური იყო, მაგრამ დასანანია, რომ არაფრის თქმა აღარ შეიძლება და ყოველივე დისკვალიფიკაციით დამთავრდება“.

რაღა უნდა ეთქვა, დე ბურმა ხელები აწია. მისი დანაშაულის ხარისხს საბოლოოდ თოთხმეტ ივნისს დაადგენენ და ფეხბურთიდან ჰოლანდიელთა კაპიტნის მოკვეთის ხანგრძლივობის ვადასაც ორი კვირის შემდეგ შევიტყობთ.

გიორგი გამარდაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეიან სტანკოვიჩი

ძოფის დაწუნებული მანჩინიმ მოიწონა

ცოტა ხნის წინ რობერტო მანჩინი და დეიან სტანკოვიჩი რომის „ლაციოში“ მხარდამხარ თამაშობდნენ. მერე ვეტერანი იტალიელი ფლორენციაში გადავიდა. მწვრთნელობა დაიწყო და იქაურ „ფიორენტინას“ ჩაუდგა სათავეში. ახლა კი იუგოსლავიელი თავისთან გადაიყვანა.

სადავოა, იყო თუ არა წარმატებული სტანკოვიჩის კარიერა „ლაციოში“. ერთი კი ცხადია, ის იმედები ვერ გაამართლა, რასაც მასზე ამყარებდნენ. 1999 წელს, როცა რომაულმა კლუბმა იუგოსლავიელი ბელგრადის „ცრვენა ზვეზდადან“ შეიძინა, „ლაციოს“ მაშინდელმა და ახლა ინგლისის ნაკრების მწვრთნელმა სვენ გორან ერიკსონმა თქვა, ევროპულ ფეხბურთს სტანკოვიჩის სახით დიდი ვარსკვლავი ეზრდებაო. თუმცა, როგორც არაერთხელ მომხდარა, სტანკოვიჩი ბოლომდე ვერ გაიხსნა. რომაულ ვარსკვლავთცვენაში დაიჩრდილა და ერთ საშუალო, სათადარიგო მოთამაშედ ჩამოყალიბდა.

არა, სტანკოვიჩის ნიჭიერებას ამით სულაც არ ვაკნინებთ. იყო დრო, როცა იუგოსლავიელი თავისი ჩინებული თამაშითა და ფლანგური გარღვევებით ბრწყინავდა და საჭირო გოლებიც გაჰქონდა, მაგრამ ისეთი ფეხბურთელი ვერ დადგა, როგორიც სამი წლის წინ შეეძლო მწვრთნელმა იწინასწარმეტყველა.

ავად თუ კარგად, „ლაციოში“ ერიკსონის მწვრთნელობის ხანაში სტანკოვიჩი თამაშობდა. მაგრამ გუნდში დინო ძოფის მისვლის შემდეგ, მისი საქმე კიდევ უფრო უკან წავიდა და ბოლოს იტალიელმა მასზე საბოლოოდ თქვა უარი.

სააგენტოების ცნობით, ახლა სტანკოვიჩმა „ფიორენტინასთან“ საშწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. მას კვირაში 30 ათასი დოლარი ხელფასი დაუნიშნეს, „ლაციომ“ კი სანაცვლოდ 8 მილიონი დოლარით შეივსო სალარო.

რობერტო მანჩინი კი რომიდან ფლორენციაში ფეხბურთელების წაყვანის კიდევ არ აპირებს. როგორც ამბობენ, მას „ლაციოსთვის“ რობერტო ბარონიო და სიმონე ინძაგიც ჰყავს შეგულებული.

ნიკა შუგლაძე

შინ შტეფანი, გარეთ სტეფანი

შტეფან შაპუიზა — შვეიცარიის ახალკურთხეული ჩემპიონის „გრასჰოპერის“ თავდამსხმელი ორშაბათს ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს.

31 წლის თავდამსხმელი, 21 გოლით ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა ლუგანოელ კრისტიან გიმენეზთან ერთად. როგორც მიმდინარე ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერმა, გასულ შაბათს გადამწყვეტი მატჩი ითამაშა სენტ-გალენის წინააღმდეგ. ბოლო ტურში „სენტ გალენის“ 4:0 დამარცხებაში შაპუიზა „გრასჰოპერს“ ერთ გოლით შეეწია თუმც, ეტყობა, ჩემპიონატის მარათონს ტრიუმფატორი ერთგვარად გადაღლილი შეხვდა, სწორედ ამის შედეგი უნდა იყოს მისი უხეში თამაში, რამაც გარკვეულწილად უარყოფიდათ იმოქმედა მატჩის სანახაობრივ მხარეზე. თავად ფეხბურთელმა კი ორშაბათს ჟურნალისტებთან საუბრისას დაადასტურა რომ, საგრძნობლად გადაღლილია და ძალების აღსადგენად ორ-სამკვირიანი დასვენება სჭირდება, სწორედ ამ მიზნით იგი მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის უახლოეს მატჩებს ისლანდიისა და სლოვენიის ნაკრებების წინააღმდეგ გამოტოვებს.



შტეფან შაპუიზა

შაპუიზამ თავის ანგარიშზე მიითვალა მეოთხე გოლი, რომელმაც თავის მხრივ წერტილი დაუსვა 2000-2001 წლის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპს. ამ მატჩში ვეტერანის შეურაცხმყოფელმა გამოხტომამ გარკვეულწილად დააზარალა თამაში. ეს თავად შტეფანმაც აღიარა და სწორედ ამის გამო ორშაბათს განაცხადა, რომ მას ორ-სამკვირიანი დასვენება სჭირდება.

ინგლისური „ლივერპულის“ მცველი სტეფან ენჩოსს ასევე დიდი პატივი ხვდა წილად, მან ორშაბათს მიიღო ჯილდო, რომელიც უცხოეთში მოთამაშე საუკეთესო შვეიცარიელი ფეხბურთელისთვისაა განკუთვნილი. ამ აღიარებაში თავისი წვლილი მის ინგლისურ კლუბსაც მიუძღვის, რომელმაც წლეულს უეფას თასთან ერთად ორი საშინაო ტურნირიც მოიგო და ჩემპიონთა ლიგის მომავალ გათამაშებაში მონაწილეობის უფლებაც გაინაღდა.

გამუცა ნაცვალაძე

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ჯგუფი

აზია

V ჯგუფი

VI ტური

შრი ლანკა 3:1 პაკისტანი

1:0 ნადიკა (6), 1:1 რიაზი (9), 2:1 ჩანა (11), 3:1 ნადიკა (48)

ტაილანდი 2:2 ლიბანი

0:1 ჯაზარიანი (35), 1:1 პიტურატანა (73), 2:1 სრიპანი (77), 2:2 ჰეიეჯი (87)

საბოლოო ცხრილი

ტაილანდი	6	5	1	0	20:5	16
ლიბანი	6	4	1	1	26:5	13
შრი ლანკა	6	1	1	4	8:20	4
პაკისტანი	6	0	1	5	5:29	1

ტაილანდის ნაკრები გავიდა მეორე ეტაპზე

// ეტაპზე ითამაშებენ: ომანი, ირანი, კატარი, ბაჰრეინი, ტაილანდი, ირაკი, უზბეკეთი, არაბეთის გაერთიანებული საამირეები, ჩინეთი და საუდის არაბეთი.

წილისყრა მოეწყობა ხვალ ბანგკოკში. 10 გუნდი დაიყოფა ორ ჯგუფად, ჯგუფებში გამარჯვებული კორეა-იაპონის საგზურს მოიპოვებენ, საუკეთესო მესამეადგილოსანი კი ევროპული ზონის წარმომადგენელს შეხვდება.

ამხანაგური მატჩი

გერმანია 2:0 სლოვაკეთი

1:0 ასამოა (50), 2:0 ბაუმანი (56)

გერმანია: ლემანი, რემერი (კელი 46), ბოდე (ბიომე 46), რამელო, ნოვოტნი, ბაუმანი, ასამოა (ციკლერი 64), ბალაკი (ციგე 79), დაისლერი (რიკერი 46), ნოიეილი (ფრინგსი 64), ბირჰოფი (კლოზე 74)

სლოვაკეთი: კონიკი (ბუჩეკი 76), კარპანი, შმელკო, ტომკო, ვარგა, დემო (ფურიკი 46), სლოვაკი (ბენჩიკი 46), ტომაშეკი (ბ. ნემეტი 65), გრეშკო, ბ. ნემეტი (ვიტეკი 46), იანოჩკო (ბაბნიჩი 65)

მსაჯი: კლოდ კოლომბო (საფრანგეთი)

18 000 მაყურებელი

24 ინფორმაცია საათის განმავლობაში

ფეხბურთი, NHL, NBA

☎ 8 22 009 000, 8 22 009 001

(1წთ / 50 თეთრი)

რეკლამა სარბიელ-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

იყიდება!

ნახმარი კომპიუტერული ტექნიკა

ტელ. 38-11-14, 39-48-29

ფეხბურთის რუკასთან

იტალიური სააგენტოების ცნობით, „მილანმა“ „ალავესთან“ შეთანხმებას მიაღწია და ბასკური კლუბის რუმინელი მცველი კოზმინ კონტრა მომავალი სეზონიდან „სან სიროზე“ გადავა. ფეხბურთელს უახლოეს დღეებში მილანში ელიან, რათა მან კონტრაქტს მოაწეროს ხელი, ხოლო „ალავესმა“ სანაცვლოდ 6 მილიონი გირვანქა უნდა მიიღოს. როგორც ცნობილია, „მილანში“ ახალი სეზონიდან ფათიჰ თერიმი იმუშავებს. თურქს კლუბში რამდენიმე ძლიერი მოთამაშის შემატება სურს, მათ შორის მარჯვენაფლანგელი კონტრასი, რომელმაც წლეულს „ალავესთან“ ერთად დიდ წარმატებას მიაღწია და უეფას თასის ფინალში ითამაშა.

ინგლისურმა „ჩელსიმ“ დაადასტურა, რომ „ბარსელონას“ ფრანგ ნახევარმცველ ემანუელ პეტისთან აწარმოებს მოლაპარაკებებს და მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონს ახალი სეზონიდან, ალბათ, ლონდონში გადაიყვანს. ცნობილი გახდა, რომ პრემიერლიგური კლუბი თანახმაა, ფრანგის სანაცვლოდ 7 მილიონი დოლარი გადაიხადოს. შეგახსენებთ, რომ პეტი „ბარსელონაში“ სეზონის დასაწყისში ლონდონის მეორე კლუბ „არსენალიდან“ ჰოლანდიელ მარკ ოვერმარსთან ერთად გადავიდა, თუმცა ამ უკანასკნელისგან განსხვავებით ძირითად შემადგენლობაში ადგილი ვერ დაიმკვიდრა. ამიტომაც ბოლო ხანს გამუდმებით აცხადებდა, რომ „კამპ ნოუდან“ წასვლა სურდა.

ფრანგულ „სტრასბურს“ ახალი სეზონიდან სავარაუდოდ ივან ჰაშეკი ჩაუდგება სათავეში. მიუხედავად იმისა, რომ მწვრთნელს პრაღის „სპარტაკთან“ კიდევ ერთწლიანი კონტრაქტი აკავშირებს, იგი კლუბს დატოვებს და საფრანგეთში გადავა სამუშაოდ. ჰაშეკი „სტრასბურში“ ივ ჰოლს შეცვლის, რომელიც ცოტა ხნის წინ გავრცელებული ინფორმაციით, თანამდებობიდან გაათავისუფლეს. ცნობისათვის: ჰაშეკმა „სპარტა“ ზედიზედ ორჯერ გახადა ჩეხეთის ჩემპიონი და ახლა იმ კლუბში გადავა, სადაც 1990-დან 1995 წლამდე თამაშობდა.

ესპანურ „დეპორტივოს“ „რაიო ვალეკანოს“ ნახევარმცველის, მიჩელის შეძენა სურს. თუ მან მადრიდული კლუბი დატოვა და გალისიელებთან გაფორმა კონტრაქტი, იგი ახალ სატრანსფერო სეზონში „დეპორტივოს“ პირველი ახალწვეული იქნება. გალისიური კლუბის ერთ-ერთი ლიდერი ფრანი წასვლას აპირებს და მწვრთნელ ხავიერ ირურეტას აზრით, მას ღირსეულ შემცვლელად სწორედ მიჩელი შეცვლის. შესაძლოა, რომ „დეპორტივომ“ „რაიო ვალეკანოს“ მიჩელისა და ხაიმეს გაცვლა შესთავაზოს. ეს უკანასკნელი გალისიური კლუბის საკუთრებაა, თუმც ამჟამად იჯარით სანტანდერის „რასინგში“ თამაშობს.

არგენტინელი მეკარე ხერმან ბურგოსი ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში კოლუმბიელთა წინააღმდეგ ტრავმის გამო ვერ დაეხმარება. როგორც ვარაუდობენ, მწვრთნელი მარსელო ბიელსა არჩევანს პაბლო კავალიერზე შეაჩერებს, რომელიც ვიგოს „სელტას“ კარს იცავს. მეორე გოლკიპერს კი, ალბათ, რომელიმე არგენტინული კლუბიდან გამოიძახებს.

ულქერი ფაჩულიას საქართველოს ნაკრებში სათამაშოდ არ უშვებს

ბურაკ დულუბაშვილის ფოტო

საით, ზაზა: „ულქერში“ თუ ნაკრებში?

ქართველ ლეგიონერთა კლუბები კვლავ წარმატებებს აღწევენ სხვადასხვა ქვეყნის საკალათბურთო ლიგებში. სტამბოლის „ულქერმა“, რომელშიც ჩვენებური ზაზა ფაჩულია გამოდის, ნახევარფინალური სერიის მესამე მატჩიც მოუგო სტუმრად ანკარის „ტელეკომს“ და ფინალში გავიდა. იქ კი ოქროსათვის სუპროლიგის მესამეადგილოსანს, თანაქალაქელ „ეფესს“ შეებრძოლება. ზაზას გუშინ შინ, სტამბოლში დავუკავშირდით.

— გილოცავთ ამ წარმატებას. სერიის ანგარიშიდანაც ჩანს, „ტელეკომთან“ არ უნდა გაგჭირვებოდათ.

— მიუხედავად იმისა, რომ სერია მშრალი ანგარიშით მოვიგეთ, ამ გამარჯვებას იოლს ნამდვილად ვერ ვუწოდებ. ის კი არა, მესამე თამაში, რომელიც ანკარაში გავმართეთ, ნამდვილი ჯოჯოხეთი იყო. ანკარაში ჩვენი მწვრთნელი უეჭველ გამარჯვებას ითხოვდა, რადგან მეორე ფინალისტის ვინაობა უკვე გამორკვეული იყო და თუ ამ მატჩს ვერ მოვიგებდით, ჩვენს მეტოქე „ეფესს“ გაცილებით მეტი დრო რჩებოდა გადამწყვეტი სერიისთვის მოსამზადებლად.

— ჯოჯოხეთია, თქვით. რა მოხდა ასეთი?

— დავიწყოთ იქიდან, რომ ეს გუნდი საერთოდ არ გამოირჩევა კორექტულობით. ძალიან ხისტ კალათბურთს თამაშობს, რაც უმეტეს შემთხვევაში, უხეშობაში გადადის. სერიის მეორე მატჩში „ტელეკომის“ ერთ-ერთმა მოთამაშემ ტუჩი გამიხეთქა და შესაცვლელი გავხდი. არც მესამე, გადამწყვეტ თამაშში დამაკლეს ხელი. გულშემატკივრები ხომ სულ მთლად გიჟებს ჰგავდნენ. მატჩი სამი საათის განმავლობაში გაგრძელდა, რადგან მაყურებლები, როცა რაიმე არ მოსწონდათ, ათასგვარ საგანს ისროდნენ. „ტელეკომის“ ერთი ქომაგი მოედანზეც შემოიჭრა და მსაჯს ცემა დაუპირა. უდიდესი ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ ვიმყოფებოდით. მდგომარეობას ართულებდა ისიც, რომ სამი წამყვანი მოთამაშე გვყავდა დაშავებული. მაგრამ, მიუხედავად ამდენი ხელისშემშლელი ფაქტორისა, მოვახერხეთ გამარჯვება და ღირსეულად გავედით ფინალში.

— ფინალური სერია როდის იწყება?

— ჯერ გადაწყვეტილი არ არის. 3 ან 4 ივნისს დაიწყება.

— 3 ივნისს ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირის პირველ მატჩში ბულგარეთს ვხვდებით. გამოდის, რომ...

— სამწუხაროდ, ასეა. როგორც კლუბის ხელმძღვანელობასთან საუბრიდან ჩანს, ისინი ჩემს თბილისში გამოშვებას არ აპირებენ, მე კი ჩემი ინიციატივით გუნდს ვერ მივატოვებ, მიუხედავად იმისა, რომ ნაკრებში თამაში ძალიან მინდა. ჩვენი ნაკრების მწვრთნელი თითქმის ყოველდღე მიკავშირდება სლოვენიიდან ამბის გასაგებად.

როგორც აქ მეუბნებიან, საქართველოს კალათბურთის ფედერაციიდან რაიმე ოფიციალური დოკუმენტი ჩემი ნაკრებში გამოშვების მოთხოვნით არ მიუღიათ. არადა, როგორც ვიცი, ფედერაცია არაერთხელ დაუკავშირდა კლუბის ხელმძღვანელობას ამ საკითხის თაობაზე. გაურკვეველ მდგომარეობაში ვარ. დიდი სურვილი მაქვს, ნაკრებში ვითამაშო, მაგრამ თავს ზემოთ ძალა არ არის. გუნდს თვითნებურად ვერ დავტოვებ.

ირაკლი პერტაია

თურქეთი

ანკარაში მეჩვიდე ადგილი, ფინალში სტამბოლელების ზავიდან

პლეი ოფი

ნახევარფინალი (სამ მოგებამდე)

ეფესი	3
დარუშაფაკა	1

დარუშაფაკა 76:85 ეფესი

ულქერი	3
ტელეკომი	0

ტელეკომი 79:87 ულქერი

ტელეკომი: ტონი (7), ერდენი (16), უოკლარი (4), იურკოვიჩი (26), ერლი (10), რადოშევიჩი (10), აქფინარი (4), დემირალი (2), ოზერი

ულქერი: აჩიკი (9), ერდენაი (23), გოლიოვიჩი (27), ლოლისი (7), ჰენდლოგტენი (6), გულერი (9), ფაჩულია (2 წუთი, 4 ქულა, 4 მოხსნა), გონლუმი (2), ილდირიმი

თურქეთის ჩემპიონატის ნახევარფინალები დასრულდა. სტამბოლის „ულქერი“ ფინალშია. თამამად შეგვიძლია მივულოცოთ ზაზა ფაჩულიას, რომლის თანაგუნდელებმა მესამე შეხვედრაშიც დაამარცხეს ანკარის „ტელეკომი“, ხოლო ზაზას მონაგარი ამ მატჩში 4 ქულაა. მან თავისი წვლილი შეიტანა გუნდის საერთო წარმატებაში. ფინალში „ულქერის“ მეტოქე „ეფესი“ იქნება.

თავად მატჩი და განსაკუთრებით მისი დასაწყისი დრამატული გამოდგა. „ტელეკომს“ შანსის შესანარჩუნებლად მოგება სჭირდებოდა, „ულქერი“ კი, თუ ამ შეხვედრაში გაიმარჯვებდა, ფინალისტი ხდებოდა.

მოთამაშენი ჯერ კარგადაც არ იყვნენ გახურებულნი, რომ სტუმრები უკვე 8:0-ს იგებდნენ. აქტიურობით გამოირჩეოდნენ მილან გოლიოვიჩი და ტუტკუ ანიკი. ანკარელებმა სამქულიანებით სკადეს ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ, წინა შეხვედრებისგან განსხვავებით, სროლა არ წასულიათ. ამას მოჰყვა ტელეკომელი ივიცა იურკოვიჩის ტექნიკური ჯარიმა და მე-4 წუთზე მეჩვიდე აიჩია. ასეთი გადაწყვეტილებით უკმაყოფილო დედაქალაქელი ფანები ტრიბუნებიდან მოედანზე ჩამოშალნენ და მსაჯს დაედევნენ, რათა მისთვის კალათბურთის წესები შეეხსენებინათ. ისეთი ამბავი ატყდა, თურქული სახელმწიფოს შემქმნელი მუსტაფა ქემალ ათათურქი რომ გაცოცხლებულიყო, ბრბოს ისიც კი ვერ დააშოშინებდა. ისმოდა „ლოცვა-კურთხევა“ მოკლე ტექსტური შეტყობინებებით. მსაჯმა გასახდელს შეაფარა თავი და იქ გამავრდა. შეხვედრა დაახლოებით ოცი წუთით შეწყდა, სანამ თურქობა არ დაწყნარდა.

განახლდა მატჩი და პირველი ორი მეოთხედის შემდეგ სტუმრები იგებდნენ — 47:39. „ტელეკომიდან“ იურკოვიჩი გამოირჩეოდა, მაგრამ სტამბოლელი ჰარუნ ერდენაის ბრწყინვალე თამაშს ვერაფერი დაუპირისპირა.

განსხვავებულად დაიწყო მესამე ათწუთეული. მასპინძელთა რიგებში მიროსლავ რადოშევიჩი გამოჩნდა, ზედიზედ რამდენჯერმე ზუსტად ისროლა და 26-ე წუთისთვის სხვაობა ორ ქულამდე შემცირდა. რადოშევიჩმა სამი საჯარიმოს სროლის უფლება მიიღო, ანგარიში 52:50 იყო. მან სამივე ჩააგდო და „ტელეკომი“ შეხვედრაში პირველად გავიდა წინ. თუმცა აშკარად ჩანდა, რომ მასპინძლები მეტს ვერ შეძლებდნენ. აქედან მოყოლებული მეოთხედის ბოლომდე ორჰან გიულერმა და გოლიოვიჩმა თამაშით დაჯაბნეს ანკარელები, რაც ანგარიშზეც აისახა — 64:56 სტუმართა სასარგებლოდ.

ბოლო ათწუთეულის დასაწყისში სტუმართა მწვრთნელმა მურათ დიდინმა დასვენებული ბენ ჰენდლოგტენი და კვადრე ლოლისი შეიყვანა მოედანზე. დედაქალაქელებს მატჩის ბოლოსკენ დაღლა დაეტყოთ. შეხვედრის დასრულებამდე სამი წუთით ადრე სხვაობა თხუთმეტ ქულამდე გაიზარდა. აქვე ტელეკომელმა ეისი ერლმა მეხუთე შენიშვნა მიიღო და აღარავის ეპარებოდა ეჭვი იმაში, რომ „ულქერი“ ფინალში გავიდოდა. თუმცა ერლს მოედნის უხმაუროდ დატოვება არ სურდა და სათადარიგოთა სკამისკენ მიმავალმა მსაჯს ხელი გაარტყა, რისთვისაც დისკვალიფიკაცია დაიმსახურა.

საბოლოოდ ეს დაძაბული შეხვედრა „ულქერის“ გამარჯვებით დასრულდა — 87:79. ჩვენ კი დაველოდოთ ფინალს: „ეფესი“ — „ულქერი“.

ვაჟა ხუციშვილი

კარლაილი დეტროიტში: რატომ, რამდენად, რა ხნით?

რაც ჯორჯ ირვინი, გუნდის მთავარი მწვრთნელი გაავდო, „დეტროიტ პისტონზის“ პრეზიდენტმა ჯო დუმარსმა, ბევრი იფიქრა თუ ცოტა, კლუბის განკარგულებაში მყოფ კალათბურთელთა გაწვრთნა რიკ კარლაილს დაავალა. რამდენი ხნით და რა გასამრჯელოს საზღაურად, ამაზე ოფიციალური „დეტროიტი“ კრინტს არ ძრავს, ფარდის უკან კი შემთხვევით მავანისგან თუ გაიგონებთ, „პისტონზმა“ ეს ბიჭი (კარლაილი ოდენ 41 წლისაა) სამი წლით დაიქირავა, მაგრამ ხუთ მილიონს გადაუხდის თუ ექვსს, ზუსტად არ ვიცით.

„დეტროიტში“ მწვრთნელთა ცვლა ჩვეული საქმიანობაა. მას შემდეგ, რაც „პისტონზის“ ორგზის გამჩემპიონებელმა, დიდების დარბაზის წევრმა ჩაკ დეილმ 1992 წელს „პისტონზის“ მწვრთნელის სკამიდან ადგომა ითხოვა და კლუბის მამებმაც არ დაიკავეს, „დეტროიტმა“ ექვსი მწვრთნელი გამოიცვალა. თუ რატომ ირჩია კარლაილი 1989 და 1990 წლების ჩემპიონი „პისტონზის“ სიმბოლოდ ქცეულმა ჯო დუმარსმა (აიზია ტომასთან ერთად), ამ კითხვაზე პასუხის გაცემას „დეტროიტის“ მოთამაშე მაიკ კარი შეეცადა: „კარლაილი დისციპლინის მოყვარული კაცია, ეს კი სწორედ ისაა, რაც ყველაზე მეტად გვჭირდება“.

კარლაილი ემაწვილობაში ცოტ-ცოტას თამაშობდა კალათბურთს. ციდან ვარსკვლავები სულაც არ უწყვეტია, მეტიც, საშუალო კალათბურთელიც არ ყოფილა, თუმც ოკეანგალმა მას აზრიან კაცად იცნობენ. ნბა-ში ხუთი წლის ცოდვილობის შემდეგ თავადაც მიხვდა, რომ მწვრთნელობა უფრო ეხერხება და სრულიად უმტკივნეულოდ შეიცვალა ამპლუა. არსებითად იგი სათადარიგოთა სკამზე დარჩა, სათადარიგო მოთამაშიდან მწვრთნელის თანაშემწედ იქცა, ოდნავ მიუახლოვდა განაპირა, გუნდის თავკაცის სკამს. ახლა კი სრულუფლებიანად დაიკავებს ამ ადგილს.

„ბოსტონში“, „ნიუ იორკსა“ და „ნიუ ჯერსიში“ გატარებული ხუთი უღიმღამო სეზონის შემდეგ კარლაილს „ნიუ ჯერსის“ მწვრთნელის თანაშემწეობა შესთავაზეს, თუმც მაშინ იგი სულ რაღაც 29 წლისა გახლდათ. ეს მოხდა 1989 წელს. კარლაილმა, ცხადია, მიიღო შემოთავაზებული წინადადება და ხუთი წელი „ნიუ ჯერსის“, მომდევნო სამი სეზონი კი „პორტლენდის“ თავკაცებს ეხმარებოდა. 1997 წელს იგი მიიწვია ყოფილმა თანაგუნდელმა და ძმაკაცმა, ლეგენდარულმა ლარი ბერდმა, რომელიც იმ დროს „ინდიანა პეისერზის“ მწვრთნელად დაინიშნა. კარლაილი ლარის მარჯვენა ხელად იქცა და ამ ორმა კეთილმოაზროვნემ „პეისერზი“ მანამდე არნახულ სიმაღლეზე აიყვანა — შარშან ფინალში გაიყვანა.

შარშან, როდესაც ლარი ბერდი მწვრთნელობას გამოეთხოვა და თავისი გზა აიოვა, ყველა ფიქრობდა, რომ „პეისერზის“ თავკაცი სწორედ კარლაილი გახდებოდა. კლუბის ბოსებიც ამას ჰპირდებოდნენ, თუმც ბოლოს პირი უტეხეს და ვიცე-ჩემპიონი გუნდი აიზია ტომასს ჩააბარეს. გაბუტული კარლაილი ერთი ხანობა კალათბურთიდან საერთოდ წასვლას აპირებდა, თუმც მერე რადიოში მოეწყო კალათბურთის წამყვან-ანალიტიკოსად და ბოლო ერთი წელი მატჩების მიმოხილვასა და მწვრთნელობაზე ოცნებაში გაატარა.

და აი, მას დაუძახა ყოფილი კონკურენტის, აიზია ტომასის ძმაკაცმა ჯო დუმარსმა და ბედის ირონიით, კარლაილმა ჩაიბარა ტომასის ყოფილი გუნდი. „მიხარია, რომ ისეთ ბიჭებთან ვიმუშავებ, როგორებიც ჯერი სტეკჰაუზი და ბენ ვოლესი არიან. ჩემი და კლუბის ხელმძღვანელთა გეგმები ერთმანეთს ემთხვევა. ჩვენ ვაპირებთ, მომავლის გუნდი ავაშენოთ, ამიტომ სწრაფ შედეგს ნურავინ მოგვთხოვს. ამ გუნდს პერსპექტივა უჩანს და აქ აჩქარება არ ივარგებს“ — ეტყობა, „დეტროიტის“ მამებსა და კლუბის ახალგამოძცხვარ მთავარ მწვრთნელს ერთმანეთის იმედი აქვთ. „პისტონზიც“ ამ კაცთან ერთად შეუყვება აღმართს.

ირაკლი ფირაშვილი



AP დეტროიტიდან

რიკ კარლაილმა ეს-ესაა ჩაიბარა „დეტროიტ პისტონზი“

სლოვენია

პლეი ოფი

ფინალი (სამ მოგებამდე)

ოლიმპია	2
კრკა	0

კრკა 77:88 ოლიმპია

კრკა: ანზულოვიჩი (19), დონჩიჩი (10), პეტროვი (2), დევისონი (22), გრუმი (6), დრობნიაკი (10), კორტნი (8)

ოლიმპია: ველში (10), გოლემაცი (12), ბეჩიროვიჩი (15), მოდრიჩი (8), ბრეეცი (2), ჯორდანი (7), ფუკაუსკასი (7), კოვაჩიჩი (27)

ქართველი ლომუ ელიტარული ხდება

საქართველოს მორაგბეთა ნაკრების ბოლოდროინდელმა წინსვლამ არა მხოლოდ გამარჯვებები და ქულები, არამედ საერთაშორისო აღიარება და დაფასებაც მოიტანა.

თუ ორიოდე წლის წინ ქართველ მორაგბეს დიდი ლობირება და რეკომენდაცია სჭირდებოდა ნებისმიერ ფრანგულ კლუბში რომ მიეღოთ, ახლა უკვე ელიტარული ფრანგულ გუნდები სიამოვნებით უღებენ კარს ბორჯღალოსნებს.

ვასილ კაცაძე ელიტარული დივიზიონისკენ მიიწევს

ესპანელთა მიერ „ქართველ ლომად“ მონათლული ვასილ კაცაძე მიმდინარე სეზონში კიდევ ერთ ქართველ სოსო ნიკოლაენკოსთან ერთად „ელიტ 2“-ის „რუმიის“ ღირსებას იცავდა. „რუმი“ საფრანგეთის მეორე დივიზიონის კვალობაზე საშუალო დონის გუნდად ითვლებოდა და პლეი ოფის საგზურისთვის იბრძოდა. მაგრამ ვასილ კაცაძის და სოსო ნიკოლაენკოს გუნდს ელიტაში გადასასვლელ მატჩებში ხელი მოეცარა და ნაადრევად დაასრულა სეზონი. თუმც ვასილ კაცაძეს კარგი თამაში ბობოლა კლუბების მზვერავებს მხედველობიდან არ გამორჩენიათ და... აწკრიალდა ვასიკოს ტელეფონი.

რა გასაკვირია, რომ ბორჯღალოსანთა უნივერსალი უკანახაზელი დიდხანს „რუმიიში“ გამჩერებელი არ იყო. ვასილ კაცაძე ახალ კლუბს ეძებსო, დაგვიდასტურა საქართველოს რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტმა ზაზა ქასაშვილმა. სიტუაციაში უკეთ გასარკვევად საფრანგეთში თავად მორაგბეს დავუკავშირდით, რომელმაც ეს გვითხრა: „კონტრაქტით ივნისის ბოლომდე ჯერ კიდევ „რუმიის“ ვეკუთვნი, თუმც, როგორ იცით, ჩემმა კლუბმა უკვე დაასრულა სეზონი და მომდევნო გათამაშებისთვის ემზადება. რაც შეეხება ჩემს გეგმებს, ჩათვალეთ, რომ პრაქტიკულად „რუმიი“ დავტოვე. ჩემით რამდენიმე სერიოზული კლუბი დაინტერესდა, რომლებიც ნორმალურ კონტრაქტს და მშვენიერ პირობებს მპირდებიან. რაც მთავარია, ყველა ეს გუნდი „ელიტ 1“-ის წარმომადგენელია. ამ კლუბების ვინაობას წინასწარ ვერ ვიტყვით. ჩემი ტრანსფერით კლოდ სორელია დაკავებული. როგორც კი სეზონი ჩამთავრდება, საუკეთესო ვარიანტს ავირჩევ. ისე კი დანამდვილებით გეტყვით, რომ მომავალ წელს ელიტარულ დივიზიონში გავატარებ, მიუხედავად იმისა, რომ „რუმიის“ თავკაცები მშვენიერ პირობებს მთავაზობენ და გუნდში დარჩენას მთხოვენ“.

გაჩო სვანიძე

ფინალში ორი ლელოს გამტანი ჯო როფი პიტერ რაიანს (მარცხნივ) და ჯერემი პოლს ზე-12-ის თასთან ერთად ზეაღუმართავთ

როფი ჩრდილოეთში ამოვიდა, ბენაზი გაღმა გავიდა

გუშინდელ „სარბიელში“ შეგპირდით, რომ ამიერიდან საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატს მეტ ყურადღებას დავუთმობდით, რადგან იქ ძალიან ბევრი ქართველი თამაშობს. ხოლო ვინაიდან ბორჯღალოსნებმა ევროპის ერთა თასის მოპოვებით ქართველი ხალხი რაგბისკენ შემოაბრუნეს, ამიტომ ჩვენი ლეგიონერების ამბებიც ჩვენებური რაგბის ქომაგთათვის საინტერესო იქნება.

უკვე ვწერდით, რომ ტარიელ რატიანიძე „მონტობანიდან“ გაცილებით ძლიერ „ბეზიეში“ გადავიდა, რომელიც ჩემპიონატის დასკვნით სტადიაზე წლეულს ვერ მოხვდა, მაგრამ, როგორც წესი, მუდმივად მაღალი ადგილებისთვის იბრძვის. „ბეზიე“ მომავალ სეზონში ევროპის თასის საგზურის მოპოვებას გეგმავს და ამ საქმეში ქართველების დიდი იმედიც აქვს.

სხვანაირად შეუძლებელიც არის, რადგან ამ კლუბში უკვე ირიცხებიან გოდერძი შველიძე და ილია ზედგინიძე, დღე-დღეზე კი, თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, მალხაზ ურჯუკაშვილი და თედო ზიბზიბაძეც ბეზიელები გახდებიან.

ქართველთა გარდა „ბეზიეს“ ბიარიცელი სებასტიან ბონეტი, დაქსელები — პიერ მინიონი და ილიენ ლაარაგუი სურს და საქმეს ისეთი პირი უჩანს, საწადელს აისრულებს კიდეც.

ახლა კი ორიოდ სიტყვა სხვა ფრანგულ ტრანსფერებზეც ვთქვათ, მით უმეტეს, რომ ზოგიერთი მათგანი მართლაც იმსახურებს ყურადღებას.

უმთავრესი ტრანსფერთაგანი უდავოდ ამ დღეებში გაცხადებულია. მსოფლიოს ჩემპიონი და გასულ შაბათს ზე-12-ის მომგები „ვოლაბი“ ჯო როფი მომავალი სეზონიდან „ბიარიცის“ ღირსებას დაიცავს. ჩემპიონატის ნახევარფინალში გასული გუნდის პრეზიდენტმა მარსელ მარტენმ ჟურნალისტებს აცნო, რომ ავსტრალიელთან ერთწლიანი, განახლებადი კონტრაქტი დადო.

25 წლის კანბერელი მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო გარემარბადაა ცნობილი. მწვანე კონტინენტის ნაკრებში მას უკვე 61 კეპი მოუხვეჭია და 22 ლელო გაუტანია. საფრანგეთში ჩამოსვლამდე ამ ციფრებს იგი, ალბათ, კიდევ უფრო გაზრდის, რადგან მშვენიერ ფორმაშია (ზე-12-ის ფინალში დურბანი ორჯერ დაალელოვა) და „ვოლაბებშიცაა“ მიწვეული საზაფხულო ტესტებისთვის.

ჯო როფის გარდა ბიარიცელებს პოელი ნიკოლა ბრიუსკი, რომელსაც საფრანგეთის ნაკრებშიც უთამაშია, და ახალგაზრდა ტულუზელი ჟოზეფ ილარეგუიც შეემატებიან. მათ დანაკლისიც ეჭნებათ, შუამარბები — სებასტიან ბონეტი და ნიკოლა კუტე არ ეყოლებათ. ამასთანავე კარიერის დასრულება გადაუწყვეტია ფრანო ბოტიკას.

გაცილებით მეტი მორაგბე დაკარგა ევროპის თასის ფინალისტმა „სტად ფრანსეზ“. პარიზიდან სამშობლოში დაბრუნება განუზრახავს ვოლაბყოფილ პატრისიო ნორიეგას. მისი ფრანგი სეზნია, პატრის კოლაზო ინგლისურ „გლოსტერში“ გადაბარგდა, „მამალი“ კრისტოფ ლოსიუკი კი „ბეგლ ბორდოში“ მიდის.

კრისტიან კალიფანოს დამკარგველმა (ახალი ზელანდიის ოკლენდში გადავიდა) „ტულუზმა“ იტალიის ნაკრების წევრი ანდრეა ლო ჩიჩერო და პოელი დავიდ ოკანი გადაიბირა. „გლოსტერში“ წასვლა ირჩიეს იტალიელებმა ალესანდრო სტოიკამ და ფრედერიკო პუჩიარელიმაც (ორივე „ნარბონი“). ლა მანშის სრუტეს იქით გადავა მომავალ სეზონში ფრანგული რაგბის ცოცხალი ლეგენდა, ტომით მაროკოელი აბდელატიფ ბენაზიც. იგი ამიერიდან „ჟანის“ ნაცვლად ინგლისური „სარასენსის“ ღირსებას დაიცავს, რომლის მთავარი მწვრთნელიც უცნობილესი სამხრეთაფრიკელი ფრანსუა პინარია.

ლევან ცაბაძისა და პალიკო ჯიმშელაძის „კასტრმა“, რომელიც საფრანგეთის ჩემპიონობისთვის ბრძოლას აგრძელებს, არგენტინის ნაკრების წევრი იგნასიო ფერნანდეს-ლობე გადაიბირა „ბეგლ ბორდოდან“.

წესით და რიგით, საფრანგეთის დაბალ ლიგებში მოთამაშე ბორჯღალოსანთაგან რამდენიმე კიდევ უნდა გადავიდეს უფრო ძლიერ კლუბებში, რის შესახებაც მომავალში გაცნობებთ.

გაგი გურული

ტაიგერ ვუდსის კალენდარში იქნებ ოლიმპიადაც ვიხილოთ

არაერთი სპორტის სახეობა მილტვის ოლიმპიური თამაშებისკენ. ზოგი მრავალი წელია, რაც ოლიმპიადების პროგრამაში მოხვედრას ცდილობს და ყოველი წარუმატებელი სვლის შემდეგ მომდევნო ოლიმპიადას იმედის თვალით შესცქერის.

ამ მხრივ გამონაკლისი არც გოლფია. ყვანჯოსნებს ასეთი სურვილი უკვე რამდენიმე წელიწადია, რაც ამოძრავებთ, მაგრამ ყოველი მათი იერიში ჯერჯერობით წარუმატებელია. ასე დასრულდა ატლანტისა და სიდნეის ოლიმპიადების პროგრამაში მოხვედრის მცდელობაც. თუმცა, ამ სახეობის წარმომადგენლები იხტიბარს არ იტეხენ და ახლა 2008 წლის ოლიმპიურ თამაშებზე ფიქრობენ.

საქმე ისაა, რომ ახლახან საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა სამყაროულო გოლფის საერთაშორისო საბჭოსგან (ვაგს) ფორმალური მოთხოვნა მიიღო, რითაც ამ სახეობის დიდმოხელენი 2008 წლის ოლიმპიადის პროგრამაში გოლფის შეტანას ითხოვენ.

საინტერესოა, რომ მოყვარულების ამ წამოწყებას მხარში გოლფის პროფესიონალთა ლიგაც (პგა) ამოუდგა, ამ უკანასკნელთან კონსულტაციებს კი სოკ-ი აწარმოებს.

სხვათა შორის, ოლიმპიური ოჯახის წევრობა სურთ ასევე რაგბის, ბოულინგის, ბილიარდის, ბოდიბილდინგის, სამეჯლისო ცეკვების, სქვოშისა და სერფინგის წარმომადგენლებს. მათ მიერ შეტანილ ამგვარ განცხადებებს სოკ-ი სექტემბერ-ოქტომბერში განიხილავს.

იმ შემთხვევაში, თუ ყვანჯოსანთა მოთხოვნას ოლიმპიზმის მამები დადებითად გადაწყვეტენ, მაშინ 2008 წლის ოლიმპიურ თამაშებზე პროფესიონალ მოთამაშეებსაც დაუშვებენ. ასეთ შემთხვევაში ყველაფრის მომგებ ტაიგერ ვუდსსაც შეეძლება, მრავალ ტიტულს ოლიმპიური ჩემპიონობაც შემატოს.

გოლფის ოლიმპიურ პროგრამაში მოხვედრისთვის იბრძვიან მისი კორიფეებიც — გრეგ ნორმანი და სევ ბალესტეროსიც.

შეგახსენებთ, რომ ათენის 2004 წლის ოლიმპიურ პროგრამაში სოკ-მა ახალი სახეობების შეტანა აკრძალა. ამიტომაცაა, რომ პროგრამის მიღმა დარჩენილნი 2008 წელზე ფიქრობს. მით უმეტეს, რომ მათ ამის საფუძველი აქვთ.

სოკ-ის სპორტულმა დირექტორმა ჟილბერ ფელიმ ახლახან განაცხადა, რომ 2008 წლისთვის სოკ-ი არ გამორიცხავს ოლიმპიადის პროგრამაში სპორტის ახალი სახეობების შეტანას. არადა, თუ ეს მოხდა, მაშინ რომელიმე „ძველი“ სახეობის ოლიმპიადის პროგრამიდან ამოღება მოუხდებათ, რათა ამით ოლიმპიადის გიგანტომანია აიცილონ.

„იოლია კარის გაღება და მისალმება, მაგრამ ძალზე რთულია კარის მიხურვა და გამოშვიდობება“ — ამბობს ფელი.

გიგა გურასაშვილი



ითამაშებენ მეგოლფეები და მათ შორის უძლიერესი ტაიგერ ვუდსი 2008 წლის ოლიმპიურ თამაშებზე?

სარბიელი

სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

კროკოს ბიუროთა მისამართები

	ფურცელაძის ქუჩა №10	კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში
	აღმაშენებლის გამზირი	№2 ცენტრალური ფოსტამტი
	გლდანი	I სავაჭრო ცენტრი
თბილისი	ვაჟა ფშაველას გამზირი №46	მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“)
	წინამძღვრიშვილის ქუჩა №200	ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში
	გურამიშვილის გამზირი №50	მეტრო „ღრმაღელესთან“
	წერეთლის გამზირი №11	
	ჭავჭავაძის გამზირი № 41	
ქუთაისი	პუშკინის ქუჩა№16	ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში
	ფალიაშვილის ქუჩა№ 27	
გორი	სტალინის ქუჩა №30	ჭადრაკის კლუბი
თელავი	კოსტავას ქუჩა №23	
რუსთავი	შარტავას ქუჩა №7	
ბათუმი	მემედ აბაშიძის ქუჩა №21	ყოფილი სტალინის ქუჩა
	ერას ქუჩა №61	ყოფილი გორკის ქუჩა
მარნეული	რუსთაველის ქუჩა №39	

გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში“. სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო“-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება)
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო“-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო“-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო“-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო“-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

NHL. სტენლის თასი. ფინალი (ოთხ მოგებამდე)

ძველ საბჭოთა არმიაზე უარესი

29 მაისი

კოლორადო	**1**
ნიუ ჯერსი	**1**

კოლორადო 1:2 ნიუ ჯერსი (1:2 0:0 0:0)

1:0 საკიკი 6(12), 1:1 კორკამი 15(1), 1:2 სტივენსონი 18(1)

კოლორადო: რუა; ბლეიკი, სკოულა, ჰეიდუკი, საკიკი, ტანგეი; ბურკი, ფუტი, ნიემინენი, დრური, ჰაინოტი; კლემი, დევრიზი, ჰოდინი, იელი, მესიე; რიდი, რაინპრეხტი, დინგმანი

ნიუ ჯერსი: ბროდო; სტივენსი, რაფალსკი, ელიაში, არნოტი, სიკორა, ნიდერმაიერი, დანეიკო, კორკამი, ჰოლიკი, ნემჩინოვი; ოდონელი, უაიტი, მოგილნი, გომესი, ბრილინი; სტივენსონი, მედენი, პანდოლფო.

პირველი მატჩის მერე, სამი დღის განმავლობაში, ოკეანისგაღმელი ჟურნალისტები ერთმანეთს ეჯიბრებიან ნიუ ჯერსის სუსტი თამაშის ახსნასა და მისთვის სწორი ტაქტიკის ამორჩევაში. მაგრამ, როგორც ჩანს, თავად ნიუჯერსელები სამარცხვინო ანგარიშით წაგებას მაინცდამაინც არ დაუბნევია და არც ველოსიპედის გამოგონება უცდიათ. „ჩვენ ვიცით, რა შეგვიძლია. ამიტომაც ერთადერთი, რაც გვჭირდება, ის არის, რომ რისკი და ავანტიურა მინიმუმამდე შევამციროთ და რაც შეიძლება, ფხიზლად და მარტივად ვიასპარეზოთ“ — მშვიდად უთხრა „ეშმაკთა“ ვეტერანმა კენ დანეიკომ ერთერთ ჟურნალისტს მატჩის წინა დღეს.

გარკვეული კორექტივები ნიუ ჯერსიმ, რა თქმა უნდა, შეიტანა. მით უფრო, რომ პირველ თამაშში მძიმე ტრავმა მიიღო მეორე სამეულის წევრმა რენდი მაკეიმ. მისი ადგილი ბობ კორკამმა დაიკავა. გარდა ამისა თავკაცმა ლარი რობინსონმა რგოლებს შორის დიდი გადაადგილებები განიზრახა. მისი გეგმით მეორე სამეულში კორკამი, ჰოლიკი და სკოტ გომესი უნდა გაერთიანებულიყვნენ (სამივე ამპლუით ცენტრფორვარდი!), ხოლო მესამე ტრიო მთლიანად რუსული გახდებოდა: მოგილნი — ნემჩინოვი — ბრილინი. მას უმალ სახელიც გამოუძებნეს — „ძველი საბჭოთა არმია“, ვინაიდან თავის დროზე სამივე ცსკა-ში თამაშობდა. ბოლო მომენტში რობინსონმა გადაიფიქრა, ასეთ რადიკალურ ცვლილებებზე არ წავიდა და იგივე გომესი და მოგილნი, რომლებიც მთელი პლეი ოფის განმავლობაში ერთად თამაშობდნენ, ერთმანეთს არ დააშორა. როგორც შეხვედრამ ცხადყო, სწორედ ახალმა რგოლებმა შეიტანეს მთავარი წვლილი მოგებაში (ამიტომ გაგაცანით ასე ვრცლად), კორკამი კი, რომელსაც თავის გამოჩენის ჩინებული შანსი მიეცა (მანამდე ეპიზოდურად გამოდიოდა და მის ანგარიშზე მხოლოდ 1 პასი იყო, თასის ფინალში კი საერთოდ პირველად მოხვდა), მატჩის ერთ-ერთი გმირი გახდა.



REUTERS დეწყერიდან

პატრიკ ელიაში კოლორადელი მეკარე პატრიკ რუას კარს დაეშუქრა

პირველი 7-8 წუთი ნიუ ჯერსის კარგს არაფერს უქადდა. კვლავ მასპინძლებმა დაიწყეს თამამად და პირველივე მწვავე შეტევა ნიუ ჯერსიმ წესის დარღვევით შეაჩერა. პირველი რიცხვმრავლობა ვერ გამოიყენა კოლორადომ, მაგრამ როდესაც სერგეი ბრილინმა არცთუ საჭირო ჯარიმის გამო გუნდი კვლავ უმცირესობაში დატოვა, მასპინძლებმა შესაძლებლობა აღარ გაუშვეს ხელიდან. ამჯერადაც საუკეთესო პირველმა სამეულმა ლამის ერთ წუთს გააჩერა შაიბა მეტოქის ზონაში. „ეშმაკები“ ორჯერ მარტინ ბროდომ იხსნა, მაგრამ მესამედ მის მიერ მოგერიებული შაიბა კარსუკან გასრიალდა, იქ კი ყველას ჯო საკიკმა გაუსწრო — 1:0. მხოლოდ ამის შემდეგ გააქტიურდა ნიუ ჯერსი, ორი-სამი წუთი მეტოქეზე აგრესიულად ითამაშა და ერთხელაც, კენ დანეიკოს დარტყმის შემდეგ, შაიბა ასხლტა და ძელს სანტიმეტრებში ასცდა. სტუმართა ეს აღმავლობა პატრიკ ელიაშმა შეწყვიტა, რომელიც კიდევ უფრო სულელურად დაჯარიმდა. უნდა აღინიშნოს, რომ ელიაში და მისი პარტნიორები პირველი სამეულიდან კვლავ ნაკლებად ჩანდნენ. ისევ და ისევ საკიკის სამეული უტევდა სახიფათოდ, მაგრამ ამჯერად ბროდომ და მცველებმა გააუნებლეს მომენტი. მერე კი საოცარი რამ მოხდა. პატრიკ რუას კიდევ 1 წუთი და 41 წამი რომ გაეძლო და გოლი არ გაეშვა, კიდევ ერთი რეკორდის მფლობელი გახდებოდა. იგი ლეგენდარულ კლინტ ბენედიქტს ეკუთვნის, რომელმაც „ნასერ ფინალურ მატჩებში 227 წუთის განმავლობაში შეინარჩუნა კარი მშრალად. რუა პარტნიორებმა დატოვეს ორმაგ მათგანის შეჯახებით გამო კორკამი მეკარესთან პირისპირ აღმოჩნდა და შეიფერა კიდეც რუას შეეძლო გუნდის გადარჩენა, მაგრამ შაიბა ვერაგულად გაუძვრა ფეხებს შუა.

აღსანიშნავია, რომ გოლის გატანის დროს ერიკ მესიე დაჯარიმდა, ხოლო 30 წამში ადამ ფუტმა კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩაგდო გუნდი. კოლორადოს ორი კაცი აკლდა, მაგრამ მაინც გმირულად იცავდა თავს. თუმც როგორც კი ფუტი ყინულზე დაბრუნდა, მოგილნის დაწყებული კომბინაცია მცველმა რობ ნიდერმაიერმა გაგრძელა შორეული დარტყმით. შაიბა კარამდე არ მივიდა, მაგრამ შემდეგ ტერენერ სტივენსონმა გამოიჩინა სისხარტე. მისი ელვისებური დატყმა რუასთვის მოულოდნელი აღმოჩნდა.

ამის შემდეგ ნიუ ჯერსი მთლად დამშვიდდა და მატჩის სადავეებიც ხელთ იგდო. მეორე პერიოდში სტუმართა უპირატესობა აშკარა იყო. მართალია, ასპროცენტიან მომენტებამდე საქმე არ მისულა, მაგრამ „ეშმაკებმა“ ისე დაუმალეს მეტოქეს შაიბა, რომ კოლორადო ფაქტობრივად ველარ ახერხებდა სტუმართა ზონაში შეღწევას. ჯეისონ არნოტს და განსაკუთრებით მოგილნის ჰქონდათ ანგარიშის გაზრდის შანსი. ეს უკანასკნელი ბრწყინვალედ გაუმკლავდა მცველს, მაგრამ გოლი კვლავ (აგერ უკვე 12 მატჩია) ვერ გაიტანა.

თამაშის სურათი არც ბოლო მესამედში შეცვლილა. მართალია, სტუმრებმა კოლორადოს ტერიტორია დაუთმეს, მაგრამ ისე საიმედოდ და ეფექტურად იცავდნენ საკუთარი კარის მისადგომებს, რომ კოლორადოს გადარჩენის არავითარი შანსი არ ჰქონდა. ერთი-ორჯერ მცველმა გრეგ დევრიზმა სცადა სიტუაციის გამწვავება, შემდეგ საკიკი უტევდა მახვილი კუთხიდან, მაგრამ ბროდოს ამ დარტყმების მოგერიება არ გასჭირვებია. ვერც მეკარის მეექვსე მოთამაშეზე შეცვლამ მოუტანა მასპინძლებს ხეირი. ბოლო წამებზე ალექს ტანგეის მიეცა კარგი შესაძლებლობა. იგი ისევ მახვილი კუთხიდან უტევდა, მაგრამ ბროდო, წინა თამაშისგან განსხვავებით, შეცდომებს აღარ უშვებდა.

„მეტოქემ დღეს გაცილებით უკეთ ითამაშა. მართალია ერთობ მოსაბეზრებელი ჰოკეი აჩვენეს, მაგრამ თავიანთი საქმე ჩინებულად შეასრულეს“ — თქვა კოლორადოს მწვრთნელმა ბობ ჰარტლიმ მატჩის შემდეგ. თავად კი იმაზე მოუწევს ზრუნვა, სად მონახოს შეტევის გაძლიერების რეზერვები. მეორე მატჩმა ცხადყო, რომ ხიფათს მხოლოდ საკიკის სამეული ქმნის, დანარჩენ ხაზებში კი შემსრულებელთა ნაკლებობა იგრძნობა.

სამგელ ღარიბიანი

ჭადრაკი

ასტანის სუპერტურნირი

მეშვიდობის პირველი დღე

ასტანაში მე-8 ტური ყაიმოვანი იყო, რაც აღრე არ მომხდარა მერვე რაუნდის სამივე პარტია ქულათა გაყოფით დასრულდა, მაგრამ ერთგან ბოლო სხვაგვარი უნდა ყოფილიყო. ვლადიმირ კრამნიკმა ალექსეი შიროვის წინააღმდეგ ერთგული „ბერლინის კედელი“ ააგო და ენდშპილში მოსაგები პოზიციით გადავიდა თეთრების არასწორი თამაშის წყალობით. შიროვმა მაინცდამაინც იმ ვარიანტში შეტოპა, რომელიც კრამნიკს სრულად გადაეჭილი აქვს. კრამნიკმაც ნაცნობ გარემოში კარგად დაზუთხული სვლები უნაკლოდ გააკეთა, ოღონდ ბლომად დროის კარგვით, ემანდ სადმე ხაფანგი არ იყოსო. შავებმა სასიკეთო ენდშპილი და ციტნოტი მიიღეს, ამიტომ კრამნიკის პრობლემა ცოტა დროში მოსაგები გზის პოვნა იყო. მაგრამ 6 სვლისთვის 5 წუთი უსაშველოდ ცოტაა და ჩემპიონს თვალები აუჭრელდა. საკონტროლო სვლების შემდეგაც პოზიცია გაურკვეველი დარჩა, მაგრამ საყაიმო ბოლო მალე გამოჩნდა. კრამნიკმა კიდევ უფრო დაწინაურების დიდი შანსი დაკარგა. რომ მეგო, ქულით წინ გაიჭრებოდა, რადგან გარი კასპაროვმა გუშინწინ ალექსანდრ მოროზევიჩს ვერაფერი მოუხერხა.

მოროზევიჩი მეორე წრის ლიდერია. ზედიზედ ორი მოგების შემდეგ კასპაროვთან შავებით ყაიმზე მეტი რა უნდა ენატრა, ამიტომ პირველ წრეში ქაოსური ჩავარდნის შემდეგ გონს მოსულმა პარტია პრაგმატულად ითამაშა. კასპაროვს უკვე მე-11 სვლაზე ლაზიერები გაუცვალა, მერე კი ნაკლული პაიკის საფასურად უმტკიცესი დაცვა ააშენა. კასპაროვმა ბრძოლაში დისონანსის შესატანად პაიკი დაბრუნა, მაგრამ მიღებულ პაიკთა ენდშპილშიც დიდი ვერაფერი გააკეთა. მხარეებს ხუთ-ხუთი პაიკი ჰყავდათ და ერთმანეთის თეორიულ შეცდომებს მოთმინებით ელოდნენ. 41-ე სვლაზე ლაზიერები გაცოცხლდნენ, 44-ეზე ყაიმი გაფორმდა, ხოლო ყველაზე უინტერესო პარტია დარმენ სადვაკასოვსა და ბორის გელფანდს შორის ყველაზე ადრე, ორ საათში მორჩა. ყაზახმა თეორებით ყაიმისთვის იბრძოლა და ნახევარი ქულა გამოიშუშავა, მერე კი საყურებლად მოიცალა. გელფანდს დარბაზში წუთიც არ დაუცდია.

დავით გულუა

ვითარება 8 ტურის შემდეგ

1. კრამნიკი 6; 2. კასპაროვი 5,5; 3. გელფანდი 4,5; 4. მოროზევიჩი 3,5; 5. შიროვი 3; 6. სადვაკასოვი 1,5.

ᲕᲐᲛᲝᲚᲘᲡᲬᲔᲠᲚᲘᲡ
ᲒᲐᲖᲔᲗᲘ
ᲡᲐᲠᲑᲘᲔᲚᲘ
ᲗᲐᲕᲘᲡ ᲤᲐᲡᲨᲘ
ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘᲗ!

ᲞᲘᲚᲘᲐᲖᲔ ᲐᲘᲢᲐᲚᲘᲗ 1 ᲗᲕᲘᲗ, 2 ᲗᲕᲘᲗ, 3 ᲗᲕᲘᲗ, 6 ᲗᲕᲘᲗ, 12 ᲗᲕᲘᲗ.

98-89-09, 26-10-80, (899) 55-30-97

ᲤᲝᲡᲢᲘᲡ ᲧᲣᲗᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲛᲝᲜᲢᲐᲟᲔᲑᲐ ᲣᲤᲐᲡᲝᲐ!

„ᲞᲠᲔᲡ-ᲛᲝᲑᲘᲚᲘ“

ჯიროს დ'იტალია

დამტვრეული კაცი წინადღის სცენარით



REUTERS გორიციიდან

პაბლო ლასტრასი ფინიშზე

პაპანაქება სიცხეში ჩატარდა „ჯიროს“ მეთერთმეტე ეტაპიც, რომელიც ესპანელმა პაბლო ლასტრას გარსიამ მოიგო. ოთხშაბათს პელოტონმა სტარტი სლოვენიის ქალაქ ბლედში აიღო და საზღვრის გადაკვეთის შემდეგ იტალიურ გორიციაში დაასრულა რბოლა. დისტანცია 187 კილომეტრს შეადგენდა, გზად კი მრბოლებს ორი დაბრკოლება შეხვდათ, რომელთაგან პირველი საკმაოდ ციცაბო აღმართი იყო, რისთვისაც პირველი კატეგორიის სიძნელედაც მოიხსენიება.

ეტაპის სცენარი ძალიან ჰგავდა წინა დღისას, რომელიც ლიუბლიანაში დენის ძანეტეს გამარჯვებით დასრულდა. რამდენიმეკაციანმა ჯგუფმა ისევ დაახლოებით ნახევარი გზის გავლის შემდეგ განახორციელა შეტევა, რომელიც წარმატებული გამოდგა. ამის მიზეზი კი ისაა, რომ ლტოლვილთაგან საერთო ჩათვლაში დარიო ფრიგოს კონკურენტი არავინ იყო. ამიტომაც „ფასა ბორტოლოს“ მათი დევნა დიდად არ ენაღვლებოდა და არც სხვა გუნდებს გამოუდვიათ თავი. შეტევის ბოლოს კი გუშინწინდელივით ერთ-ერთი მოიერიშე გამოეყო ლიდერებს და დანარჩენებს რამდენიმე წამი მოუგო.

25 წლის მადრიდელმა მრბოლმა თავის კარიერაში უმნიშვნელოვანესი გამარჯვება იზეიმა. 1998 წელს გაპროფესიონალებული ლასტრასი აქამდე ველოსპორტის საერთაშორისო კავშირის მსოფლიო კლასიფიკაციაში 358-ე ადგილზე იყო და პელოტონიდან მხოლოდ თავისი უიღბლობით თუ გამოირჩეოდა. მას „დამტვრეულ კაცად“ იცნობენ, რადგან ბოლო ოთხი წლის მანძილზე ათამდე მოტეხილობა აქვს - გადატანილი. სახის ძვლები, ნეკნები, ხელები... სხეულის თითქმის ყველა ძვალი გასტეხვია ლასტრასს, რომელიც უკანასკნელად გასულ დეკემბერში დაშავდა საშთო ველოსპორტის ერთ-ერთი ტურნირისას და თვენახევარი იშუშებდა ტრავმას.

პელოტონმა, რომელმაც ნაქები კონტრაბანდისტივით ერთ დღეში შვიდჯერ გადაკვეთა საზღვარი, გზა საკმაოდ მაღალი სიჩქარით გაიარა, რაც გაუთავებელი შეტევების ბრალია. თუმცა თავიდან დიდი ხნის მანძილზე დაწინაურების უფლება არავის მიეცა.

მხოლოდ პასო დელ პრედილის (1156 მ. ზღვის დონიდან) გადავლის შემდეგ აენთოთ მოიერიშეებს მწვანე შუქი. წინ ათი მრბოლი გაიჭრა და ერთხანს პელოტონი რვა წუთითაც ჩამორჩებოდა მათ, მაგრამ საბოლოოდ ხუთ წუთზე ოდნავ მეტი დათმო.

დაწინაურებულებიდან ყველაზე მეტად ჯუზეპე დი გრანდე აქტიურობდა. მან ორჯერ სცადა ჯგუფის მიტოვება, რომელშიც 1992 წლის ტრეკზე ქულებზე რბოლის ოლიმპიური ჩემპიონი ჯოვანი ლომბარდიც იყო, თუმცა წარუმატებლად.

ლასტრასმა კი დი გრანდესგან ვერშეძლებული შეძლო. იგი ფინიშამდე ოთხი კილომეტრით ადრე გაექცა კომპანიონებს და მათ 10 წამითაც აჯობა.

დღეს მოკლე და იოლი ეტაპია. მრბოლებს 139-კილომეტრიან გზაზე ერთი ხეირიანი აღმართიც არ ელით, რაც ჯგუფურ სპრინტს მოასწავებს. ხვალიდან კი პელოტონი მთაში ავა და საინტერესო ამბებიც იქ დატრიალდება.

გაგი გურული



REUTERS გორიციიდან

ფასაბორტოლოელები დარიო ფრიგოს (შეექვსე) ვარდისფერი მაისურას სადარაჯოზე

მეთერთმეტე ეტაპი

ბლედი (სლოვენია) — გორიცია. 187კმ

1. პაბლო ლასტრასი (ესპანეთი, იბანესტო) 4სთ 38 წთ 31წმ
2. ჯოვანი ლომბარდი (იტალია, ტელეკომი) +10წმ
3. უროშ მურნი (სლოვენია, მობილვეტა) +10
4. მასიმილიანო მორი (იტალია, საეკო) +10
5. ალექსის როდრიგესი (ესპანეთი, სპანია) +10

საერთო ჩათვლა

1. დარიო ფრიგო (იტალია, ფასა ბორტოლო) 52სთ 25წთ 07წმ
2. ფოზე აზევედო (პორტუგალია, ონსე) +3
3. აბრაამ ოლანო (ესპანეთი, ონსე) +14
4. ჯილბერტო სიმონი (იტალია, ლამპრე) +15
5. ვლადიმირ ბელი (იტალია, ფასა ბორტოლო) +19

ტუი-ბრეიკი

REUTERS ბარი ზიდან

იანა კანდარს ერთ დროს სავარჯიშო კორტიც კი არ გააჩნდა

მემარჯვენე ცაცია

გერმანელი იანა კანდარი პირველ წრეში ამელი მორესმოს დამარცხებამ წლევანდელი როლან გაროსის ჯერჯერობით ყველაზე დიდი სენსაციის ავტორად აქცია. ანა კურნიკოვას არყოფნაში ფოტოგენურ და ტანმშვენიერ ჩოგბურთელს ძლიერი სქესის ქომაგები არ მოაკლდება, თუმცა იყო დრო, როდესაც მისთვის ვარჯიშიც კი დიდი პრობლემა იყო.

აღმოსავლეთ გერმანიაში დაბადებულ და გაზრდილ კანდარს ბავშვობაში გადახურული კორტების არარსებობის გამო წელიწადში სულ 5-6 თვე შეეძლო თამაში, ისიც მხოლოდ ერთადერთ არსებულ — თიხნარის საფარზე.

„იუნიორთა ტურნირზე არასოდეს მიასპარეზია და ჩოგბურთს სერიოზულად მხოლოდ 14 წლისამ მოვკიდე ხელი, როდესაც საცხოვრებლად დასავლეთ გერმანიაში გადავბარგდით. მანამდე ზამთარში კალათბურთს თუ ვთამაშობდი, ზამთარი კი გერმანიაში დაუსრულებელია, ასე რომ, ჩოგბურთისთვის ცოტა დრო რჩებოდა. სახელმწიფო ამ სპორტს კაპიტალისტთა გასართობად მიიჩნევდა და რაკი ის ოლიმპიურ სახეობას არ წარმოადგენდა, ფინანსურად არც უჭერდა მხარს“ — იხსენებს გერმანელი.

იანას დედა პეტრა თავის დროზე ევროპის ჩემპიონი იყო მძლეოსნობაში, თუმცა თავის ქალიშვილს ჩოგბურთში ვარჯიში დაუძალა. კორტების არარსებობის გარდა კანდარს კიდევ ერთი დაბრკოლების გადალახვა მოუწდა: ის მარჯვენა ხელით კი თამაშობს, მაგრამ სინამდვილეში ცაციაა.

„ცხოვრებაში ყველაფერს მარცხენა ხელით ვაკეთებ, ჩოგბურთის თამაშის გარდა, რაც ხანდახან უსიამოვნო, დისკომფორტის გრძნობას მიქმნის. აღმოსავლეთ გერმანიაში ასეთ „წვრილმანებზე“ არავინ ზრუნავდა“.

კაფელნიკოვის 500

როლან გაროსის პირველ წრეში იტალიელი ფედერიკო ლუცის დამარცხებით ევგენი კაფელნიკოვმა თავისი პროფესიული კარიერის მე-500 გამარჯვება მოიპოვა და ამჟამად მოქმედი ჩოგბურთელებიდან მხოლოდ მეხუთე გახდა, ვინც ეს ზღვარი გადალახა.

ოლიმპიურ ჩემპიონზე მეტი მოგება მხოლოდ პიტ სამპრასს (711), ანდრე აგასის (663), მაიკლ ჩანგსა (643) და გორან ივანიშევიჩს (569) აქვთ ანგარიშზე. თუმცა ყველა დროის რეკორდის მოხსნა ან თუნდაც მასთან მიახლოება ზემოთ ჩამოთვლილთაგან არც ერთ ვარსკვლავს არ უწერია — ლეგენდარულმა ჯიმი კონორსმა თავისი თითქმის 20-წლიანი კარიერის მანძილზე 1155 მატჩის მოგება მოასწრო.

ჩოგბურთი ქუჩაში

ალბათ, ბევრს ემახსოვრება „ნაიკის“ შთამბეჭდავი სარეკლამო რგოლი, რომელშიც ანდრე აგასი და პიტ სამპრასი პირდაპირ ქუჩაში ებრძვიან ერთმანეთს, გაოცებული ჯონ მაკინროის თვალწინ. ეს სპექტაკლი, რომელიც ამერიკელებმა ოსტატურად დადგეს, გასულ კვირაში ATP-ის მსოფლიოს ჩემპიონატზე გერმანიის ნაკრების წევრებმა სინამდვილეში გაიმეორეს.

ტომი ჰაასი, ნიკოლას კიფერი, დევიდ პრინოშილი და გუნდის კაპიტანი კარლუშე შტეები ტურნირის კუთვნილი მანქანიდან დიუსელდორფის ცენტრალურ ქუჩაზე, კონგშტრასეზე გადმოხტნენ, მოძრაობა გააჩერეს, ასაწყობი ჩოგბურთის ბადე გაშალეს და გაოგნებული თანამემულეების დასანახად თამაში დაიწყეს.

„ნამდვილი ქაოსი იყო, მაგრამ კარგადაც გავერთეთ. უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი, ქუჩაში კი მანქანების გიგანტური საცობი წარმოიქმნა“ — განაცხადა კიფერმა. მატჩი მაშინ დასრულდა, როდესაც ერთ-ერთი ჩოგბურთელის დარტყმულმა ბურთმა მეზობელი კაფეს ვიტრინა ჩაამსხვრია.

წმენდა პარიზში

საფრანგეთის ღია პირველობაზე მონაწილე ჩოგბურთელთა თითქმის ნახევარს დოპინგის ხმარებაზე შეამოწმებენ — განაცხადა რამდენიმე დღის წინ ქვეყნის სპორტის მინისტრმა მარი-ჟორჟ ბუფემ.

საერთოდ, ჩოგბურთში აკრძალული ნივთიერებებით შედარებით ნაკლებად იჭყიპებიან, ყოველ შემთხვევაში, ბოლო სამი წლის მანძილზე ამაში სულ ორი მოთამაშე, ავსტრალიის ღია პირველობის ჩემპიონი პეტერ კორდა და არგენტინელი ხუან იგნასიო ჩელა გამოიჭირეს და ორივე მტკიცედ უარყოფდა თავის დანაშაულს. მეორე მხრივ, უცოდველ კრავებად ასაღებდნენ თავს ტურ დე ფრანსის ველომრბოლებიც, სანამ 1998 წელს მთავრობის აგრესიულმა რეიდებმა დოპინგის გავრცელების მთელი ორგანიზებული სისტემა არ გამოავლინა.

„ველოსპორტში დოპინგს ღრმად აქვს ფესვები გადგმული და სწორედ ამიტომ ყველაზე ხშირად სწორედ ველომრბოლებს ამოწმებენ, მაგრამ ჩვენი ღონისძიებები სპორტის სხვა სახეობებსაც უნდა შეეხოს“ — აღნიშნა გაზეთ „ლიბერასიონთან“ ინტერვიუში მადამ ბუფემ.

სწორედ ამ მიზნით საფრანგეთის სპორტის სამინისტრომ ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციასთან შეთანხმებას მიაღწია და უახლოეს ორ კვირაში პარიზში როლან გაროსის 112 მონაწილეს შეამოწმებს დოპინგზე. ველოდოთ უნდა თუ არა სკანდალებს, ეს სულ მალე გაირკვევა.

ავთანდილ სვანიძე

კაუფმანმა ცოცხალი სამპრასი არ დაიჯერა

ფრანგი სედრიკ კაუფმანი როლან გაროსის პირველი წრის მატჩის წინა საღამოს მხოლოდ ერთ რამეზე ფიქრობდა — იმედია, ხვალ ამდენი ხალხის წინაშე თავს არ მოვიჭრიო. 25 წლის, კლასიფიკაციით 250-ე ჩოგბურთელს, რომელსაც კარიერაში ერთი შეხვედრაც არ მოუგია ATP ტურზე, მეორე შუადღით როლან გაროსის ცენტრალურ კორტზე ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო ჩოგბურთელთან, პიტ სამპრასთან გაჯიბრება ელოდა.

კაუფმანის იოლად გასაგები შიშ-კანკალი სულ ამაო გამოდგა: რამდენიმე წლის მანძილზე აშშ-ში მცხოვრებმა ფრანგმა „პისტოლ პიტს" იმდენად ღირსეული წინააღმდეგობა გაუწია, რომ ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი სენსაციის ავტორობამდე ერთადერთი ზუსტი დარტყმა დააკლდა.

„ჩვეულებრივ პიტს მხოლოდ ტელევიზორში თუ ვხედავ, ამიტომ მატჩისწინა მოთელვაზე თითქოს ძილ-ბურანში ვიყავი და მეჩვენებოდა, რომ მას ბადის მეორე მხარეს კი არა, ისევ ტელევიზორში ვუცქერდი. ძალიან ვნერვიულობდი, მაგრამ პირველი მოწოდება მოვიგე თუ არა, მაშინვე დავწყნარდი" — გაიხსენა მოგვიანებით ფრანგმა.

თავიდან ყველაფერი ისე მიედინებოდა, როგორც წესი და რიგია: თიხნარის მოძულე სამპრასი კლასით გაცილებით დაბლა მდგომ მეტოქეს ერთი თავით ჯობდა და მძლავრი მოწოდების ხარჯზე დიდი უპირატესობაც ჰქონდა. ყველაფერი ერთმა გათამაშებამ შეცვალა. 4:5-ზე მეორე ხელში ამერიკელმა სმეში უხერხულად დაარტყა, კაუფმანი ბურთს შესწვდა, ბადის მეორე მხარის ტყვიასავით დააბრუნა და აღფრთოვანებულმა ხელები მაღლა აღმართა. ფრანგი მაყურებლები, რომლებსაც მანამდე თავისიანი წინდაწინ განწირულად მიაჩნდათ, სწრაფად გამოცოცხლდნენ და ომახიანად დაიღრიალეს, გულმოცემულმა კაუფმანმა კი კიდევ რამდენჯერმე გაისროლა ეფექტურად და სეტებში ანგარიში გაათანაბრა.

სამპრასმა მომდევნო ხელი კი მოიგო, მაგრამ განერვიულებულმა თანდათან ბადესთან გასვლებს უკლო, უკანა ხაზს შერჩა და უნებლიე შეცდომებს კატასტროფულად უმატა (სულ 86). ასე რომ, გარეგნობით და ჩაცმულობით ბორის ბეკერის ალი-კვალი კაუფმანი, თავისდა გასაოცრადაც, გეიმს გეიმზე ითვლიდა, ამერიკელს მოწოდებებს ართმევდა და სულ მალე წარმოუდგენელი გამარჯვების პირას აღმოჩნდა — გადამწყვეტ სეტში 5:3 დაწინაურდა.

სამპრასი კარიერის ყველაზე დამამცირებელი წაგების სიახლოვემ გამოაფხიზლა. რაკილა ფრანგს ნერვიულობა საერთოდ არ ეტყობოდა და უაზრო შეცდომებით მოგების ჩუქებას არ აპირებდა, ამერიკელმა ისევ აგრესიულ ტაქტიკას მიმართა, დიდი გაჭირვებით ჯერ 3:5-ზე, მერე 4:5-ზე სამი მატჩ-პოინტი გადაარჩინა, ბრეიკი გაახერხა და მარცხს ბეწვზე გადაურჩა — 6:3, 4:6, 6:2, 3:6, 8:6.

„ის ძალიან იშვიათად ცდებოდა და საოცრად სწრაფად მოძრაობდა. სიმართლე გითხრათ, ბეკერს კი არა, კურდღელს უფრო მაგონებდა სირბილით. ისე, ზოგ მომენტებში ვნატრობდი კიდეც, ნეტავ, მის მაგივრად თიხნარზე ბორისს ვეთამაშებოდე-მეთქი — აღნიშნა პრესკონფერენციაზე სამპრასმა, რომელმაც მატჩის მოგებით ისე გაიხარა, თითქოს მნიშვნელოვანი ტიტული მოეპოვებინოს — პარიზში ქუჩაში სიარულის დროსაც კი ვგრძნობ, რომ ხალხი წარმატებას და როლან გაროსზე გამარჯვებას მისურვებს. ცოტა მიკვირს, მაგრამ თან ძალიან მახარებს".

კარიერის მანძილზე სულ 65 ათასი დოლარის მომპოვებელ (სამპრასის 41 მილიონის წინააღმდეგ) კაუფმანს ასეთი შანსის ხელიდან გაშვებამ თვალები კი მოუწყლიანა, მაგრამ ხასიათი ძალიანაც არ გაფუჭებია: „ყველაფერი გავაკეთე, რაც შემეძლო, ეს დღე სიკვდილამდე მემახსოვრება. მე არ წამიგია ეს მატჩი, მან მოიგო და როდესაც ხვალ დილით გავიღვიძებ, არაფერზე ვინანებ. პიტი დიდი ჩემპიონია და მე მას ტურნირზე შორს წასვლას ვუსურვებ".

ნაკლებად გაუმართლა პირველ წრეში აშშ-ის ღია პირველობის ორგზის ჩემპიონ პატრიკ რაფტერს. ავსტრალიელმა თანამემამულე უეინ არტურსს პირველ-მეორე სეტები კი მოუგო, მაგრამ მერე მხარი წამოსტკივდა, მოწოდებამაც დაალალატა და 6:4, 6:2, 3:6, 6:7 (5:7), 1:6 დამარცხდა.

„მოგების კარგი შანსი მქონდა და ვერ გამოვიყენე, ზოგჯერ ასეც ხდება. ყველაზე მეტად იმან დამამწუხრა, რომ უიმბლდონის წინ სათამაშო პრაქტიკა მაკლია, კარგი იქნებოდა, აქ რამდენიმე მატჩი მაინც გამემართა. სასიხარულო ის არის, რომ ფიზიკურად ბოლომდე გავძელი და დაღლილობა არ მიგრძვნია" — რაღაც დაღებითი მაინც გამონახა რაფტერმა მარცხში.

უპრობლემოდ მიიწევს წინ ტურნირის ერთ-ერთი მთავარი ფავორიტი ხუან კარლოს ფერერო (4). 21 წლის ესპანელმა ჰამბურგში საზარდულის და მუცლის ტრავმები მიიღო და ერთხანს პარიზში მისი თამაშიც კი ეჭვს იწვევდა, თუმცა ჯერჯერობით ის არაფერს, უფრო სწორად, თითქმის არაფერს უჩივის: „ერთადერთი, რაც მართლა მაწუხებს, დიდი კოჟრია მარჯვენა ფეხზე. გასულ კვირაში ოთხი დღე ჩოგანს საერთოდ არ გავკარებივარ და დასვენებამ აშკარად მარგო, ფიზიკურად თავს კარგად ვგრძნობ".

მეორე წრეში სამხრეთაფრიკელ მარკუს ონდრუშკას ფერერომ საათზე ოდნავ მეტში, 6:2, 6:2, 6:0 გადაუარა და, ბუნებრივია, ასეთი იოლი წინსვლით ძალიან კმაყოფილი დარჩა, ძალებს უფრო მნიშვნელოვანი მატჩებისთვის შევინახავო.

ვინუს უილიამსის წაგების შემდეგ შავი კლანის მეფლაგმანე როლან გაროსზე მისი უმცროსი და — სერენა დარჩა, თუმცა სავსებით შესაძლებელია, მალე მასაც აბარგება მოუხდეს. საქმე ის არის, რომ დაკუნთულ ამერიკელს მარტში ნატკენი მუხლი ჯერაც ვერ მოურჩენია ბოლომდე: „ტრავმა გაცილებით ნაკლებად მაწუხებს და იმედია ბოლომდე გაუძლებს ამ გამოცდას. მე ისღა დამრჩენია, ზედ ყინული დავიდო და ვილოცო".

თითქმის სამთვიანი შესვენების შემდეგ საფრანგეთის ღია პირველობის პირველ წრეში სარა პიტკოვსკისთან შეხვედრაში სერენა მაინცდამაინც კარგ ფორმაშიც ვერ გახლდათ: გარდა იმისა, რომ ჩვეულზე ხშირად ცდებოდა, ზოგჯერ ამოუცნობად სულელურ გადაწყვეტილებებსაც იღებდა კორტზე.

ყველაფერ ამას მაყურებელთა მტრული დამოკიდებულებაც დაემატა. მეორე ხელის ბოლოს მსაჯის გადაწყვეტილებამ ფრანგი პიტკოვსკი რომ ააცრემლიანა, ქომაგებმა ბოლომა ამერიკელზე გადმოანთხიეს, გამაყრუებელი სტვენა ატეხეს და სერენას კარგა ხანს მატჩის გაგრძელების შესაძლებლობა არ მისცეს. საბოლოოდ შეცდომებით სავსე შეხვედრა თითქმის ორსაათნახევარს გაიწელა და უმცროსი უილიამსის ნატანჯი გამარჯვებით და ნაძალადევი ღიმილით დასრულდა 6:2, 6:7(4:7), 6:1.

სერენასგან განსხვავებით, 18 წლის ჟიუსტინ ენენმა (14) სულ რამდენიმე კვირის წინ გადაბრუნებული კოჭი საოცრად სწრაფად მოირჩინა. ახლა უფროსი უილიამსისა და ამელი მორესმოს წაგებით შესუსტებულ ქალთა ბადის ქვედა ნახევარში ქერა და ენერგიული ბელგიელი სამართლიანად ითვლება ფინალში გასვლის რეალურ პრეტენდენტად: „ჰო, ვფიქრობ, მართლა კარგი შანსი გამიჩნდა. ურიგოდ არ ვთამაშობ, მაგრამ ამისთვის მომდევნო შეხვედრებში უფრო სტაბილურად და აგრესიულად გარჯა მმართებს".

მეორე წრეში საკმაოდ ძლიერ არგენტინელ პაოლა სუარესს ენენმა დამაჯერებლად, 6:3, 6:4 აჯობა.

ავთანდილ სვანიძე



REUTERS

სერენა უილიამსს პირველი წრის დაძლევა ახარებს

მეორე წრე

ქალები: **კიმ კლაისტერსი** (12, ბელგია) — მარიანა დიას-ოლივა (არგენტინა) 7:5, 6:1; **ელენა დოკიჩი** (15, იუგოსლავია) — მარისა ირვინი (აშშ) 6:1, 6:2; **ლინა კრასნორუცკაია** (რუსეთი) — ლენკა ნემეცკოვა (ჩეხეთი) 6:4, 6:3; **დაია ბედანოვა** (ჩეხეთი) — ანდრეა გლასი (გერმანია) 4:6, 7:5, 6:0; **ნატალი დეში** (საფრანგეთის) — ჯოანეტ კრუგერი (სამხრეთ აფრიკა) 6:3, 6:2; **დენიზა ხლადკოვა** (ჩეხეთი) — ენ კრემერი (ლუქსემბურგი) 4:6, 6:2, 6:3; **ვირჟინი რაზანო** (საფრანგეთი) — ანკე ჰუბერი (გერმანია) 6:0, 4:6, 6:1; **სილვია ფარინა** (იტალია) — ტატიანა პანოვა (რუსეთი) 4:6, 6:3, 6:3; **ბარბარა შეტი** (ავსტრია) — ასა კარლსონი (შვედეთი) 6:3, 4:6, 6:2; **ნურია ლაგოსტერა** (ესპანეთი) — სილვია პლიშკე (ავსტრია) 5:7, 6:0, 8:6; **ჰენრიეტა ნაგიოვა** (სლოვაკეთი) — ელენა დემენტიევა (7, რუსეთი) 7:5, 7:5; **პეტრა მანდულა** (უნგრეთი) — როსანა დე ლოს რიოსი (პარაგვაი) 7:5, 5:7, 7:5

ვაჟები: **გუსტავო კუერტენი** (1, ბრაზილია) — აგუსტინ კალერი (არგენტინა) 6:4, 6:4, 6:4; **ევგენი კაფელნიკოვი** (7, რუსეთი) — სჯასილ მემიტი (აშშ) 7:6 (7:3), 3:6, 6:3, 7:6 (7:2); **ტიმ ჰენმანი** (11, ინგლისი) — სჯენგ შალკენი (ჰოლანდია) 6:4, 6:2, 6:2; **მაიკლ რასელი** (აშშ) — სერხი ბრუგერა (ესპანეთი) 4:6, 5:7, 6:3 — ტრავმა; **ოლივიე როშუ** (ბელგია) — დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) 2:6, 6:4, 6:4, 6:4; **ძარიმ ალამი** (მაროკო) — ჰარელ ლევი (ისრაელი) 6:4 — ტრავმა; **ირჟი ნოვაკი** (ჩეხეთი) — სედრიკ პიოლინი (საფრანგეთი) 2:6, 6:4, 6:2, 7:5; **ტომი რობრედო** (ესპანეთი) — ჟან-რენე ლისნარი (საფრანგეთი) 6:3, 6:3, 6:0; **ტომას ენკვისტი** (14, შვედეთი) — ხოსე აკასუსო (არგენტინა) 4:6, 6:3, 6:4, 7:5; **ლეიტონ ჰიუიტი** (6, ავსტრალია) — ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) 6:0, 6:1, 6:3; **ენდი როდიკი** (აშშ) — მაიკლ ჩანგი (აშშ) 5:7, 6:3, 6:4, 6:7 (5:7), 7:5; **ბოჰდან ულირახი** (ჩეხეთი) — მარიანო პუერტა (არგენტინა) 2:6, 6:3, 6:3, 6:3



გუშინ მაიკლ ჩანგის დამარცხებამ ენდი როდიკი გვარიანად მოქანცა



REUTERS

სედრიკ კაუფმანი (მარჯვნივ) პიტ სამპრასს არაფერში ჩამორჩა



REUTERS ბერლინიდან

უსწრაფესი ნაკვალევი

ბერლინში „ნაიკთაუნის“ დიდების ბილიკზე „ნაიკის“ კიდევ ერთი დიდი სპორტსმენის, მაიკლ ჯონსონის ფეხისგულები გამოჩნდა. ამერიკელი სპრინტერი მრავალგზის ოლიმპიური ჩემპიონი და „ნაიკის“ სპორტული სამოსის ერთგული მომხმარებელია, ფეხისგულები კი მსოფლიოს უსწრაფესი კაცის კვალია „ნაიკის“ საგანგებო ბილიკზე.

არც ეგრეა

საქმე არც ისეა, გუშინწინ რომ გვისახავდნენ. სტენლის თასის ფინალის მეორე მატჩში „ნიუ ჯერსიმ“ „კოლორადოს“ 2:1 მოუგო და სერიაში ანგარიში გაათანაბრა. ჯერსელთა მეკარე მარტინ ბროდო ამ ჯერზე ყოჩაღად იდგა და დენვერელ თავდამსხმელებს მუშტითაც კი იგერიებდა. ამ ფოტოზეც ბროდოს და კოლორადელი ვილე ნიემინენის ძიძგლაობაა აღბეჭდილი.

REUTERS დუნგერიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაკილის ფეხი და ენერგოკრიზისი



REUTERS ლოს ანჯელესიდან

ეს დაუვიწყარი დღეა, ვინაიდან პოლიტიკოსთა პოლიტიკოსი, ანუ ამერიკის პრეზიდენტი ჯორჯ ვაშინგტონ ბუში ცენტრფორვარდთა ცენტრფორვარდის, ანუ ლეიკერსელი გიგანტის, შაკილ ონილის სპორტული ფეხსაცმელს იღებს საჩუქრად ლოს ანჯელესის მერის, რიჩარდ რიორდანისაგან. სხვა შემთხვევაში, ამ ტიტანიკისტოლა ფეხსაცმელს ეგებ განსხვავებული დატვირთვაც ჰქონოდა და სწორედ რომ გემად გამოდგომოდა ვინმეს. ჯორჯ ბუში კი შაკილის ფეხსაცმელის დასაუფლებლად სულაც არ ჩასულა კალიფორნიაში, არამედ ბევრად სერიოზულ საქმეზე: ამ შტატში მძვინვარე ენერგოკრიზისის თაობაზე უნდა ესაუბროს გუბერნატორ გრეი დევისს.

REUTERS ათენიდან

ათენური კრედიტი

ათენი ემზადება 2004 წლის ოლიმპიადის მასპინძლობისთვის. ოლიმპიადის ორგკომიტეტის თავმჯდომარე ქალბატონი იანა ანგელოპულოსი წარმოგვიდგენს ბერძნული „ალფა ბანკის“ საკრედიტო ბარათს, რომელზეც ოლიმპიური სიმბოლო იწონებს თავს. „ალფა ბანკი“ ოლიმპიადის ერთ-ერთი მთავარი სპონსორია და ამგვარ ბარათებს შეზღუდული რაოდენობით, სულ 30 ათასს გამოუშვებს.

გზადაგზა

იტალიაში გახურებულმა საველოსიპედო „ჯირომ“ ერთი დღით მეზობელ სლოვენიაშიც შეიარა და ლიუბლიანის ქუჩები გადაჭრა. „ჯიროს“ ოთხმოცდაოთხწლიან ისტორიაში ეს პირველადაა, რომ მარშრუტი ამ ქალაქში გაიჭრა. „მერკატონე უნოს“ გიუმაჟი ლიდერი მარკო პანტანი კი გზადაგზა იტკბარუნებდა პირს სლოვენიური ნუგბარით.





REUTERS ლიუბლიანიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჯედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი პახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი **კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია** გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნთელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ლია ბესელია, თამაზ გოგებაშვილი, ელენე გელუტაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მავდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge